გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
ოთხშაბათი, 7 სექტემბერი, 2005 წელი.
№210 (5243)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნებრივი სიტყვაა, ცელქობით და ჭკუით ხუმრობის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## თუ ბექაური სუფთაა, მაშინ მაჭავარიანს რისი ეშინია?



**გამყრელიძე – მაჭავარიანის ცნობილ დაპირისპირებაზე კომენტარი ვთხოვეთ პარლამენტარებს: უმრავლესობის წევრს ნინო კალანდაძეს და ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობიდან“, განდგომილ დეპუტატს დავით ზურაბიშვილს.**

ნინო კალანდაძე: – ზოგადად თუ არსებობს ორ დეპუტატს შორის დაპირისპირება, ეს, რა თქმა უნდა, პარლამენტში უნდა განიხილონ და ბიუროს სხდომა არის ამის ფორმატი. მაგრამ, როდესაც კონკრეტულად სახელდება ბექაური-მაჭავარიანის ტანდემი და, ასე ვთქვათ, მაჭავარიანის კანონსაწინააღმდეგო თუ კრიმინალურ ქმედებაზეა საუბარი, ვფიქრობ, ნებისმიერი ადამიანის მიმართ ასეთი რამის გაკეთება დაუსაბუთებლად არ შეიძლება. ანუ, ეს არის ბრალდება, ამ ეტაპზე საზოგადოებისთვის არასწორად მიწოდებული ინფორმაცია, რადგან იგი დაუდასტურებელია.

იხ. მე-2 გვ.

## სასახლე მიაქვთ?



**ვიკმაროთ, რაც „კომუნისტური გადმონაშთების“ საბაბით წავართვით თუ დავუნგრიეთ ბავშვებს. კომუნისტების დროს იმათ უფასოდ ჰქონდათ საცურაო აუზები, ჩოგბურთის კორტები, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები, სპორტული მოედნები, პიონერთა ბანაკებით იყო მოფენილი ქვეყანა...**

იხ. მე-3 გვ.

## საწვავი გაძვირდა!

**მინდვრად კი თავთავიანები ასაღებია და ვენახიც დასაკრეფია**

იხ. მე-3 გვ.



## გადაქელილი, მერიის ჩუმტურებს შეწირული...



რ. თაბუკაშვილის ქუჩა

იხ. მე-6 გვ.

**ვიწამლებით, პატივცემულო ქალაქის მერო, ვიხუთებით, ამას ჰიტლერელები არ აკეთებდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში, პურის საყიდლად ვერ გამოვსულვართ ქუჩაში ტრანსპორტის შიშით!..**

### ⊙ ინფორმაცია

#### საქართველოს პრეზიდენტმა „კმარას“ აქტივისტების საქმიანობა მოუწონა

მსოფლიოში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება საქართველოს ხელისუფლებისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება.

როგორც გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში „კმარას“ აქტივისტებთან გამართულ შეხვედრაზე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, საქართველო კვლავ დაუჭერს მხარს მსოფლიოში დემოკრატიული პროცესების განვითარებას, თუმცა ამას კანონიერების ფარგლებში გააკეთებს და თავის ნებას არავის მოახვევს.

სააკაშვილის განცხადებით, ბელორუსში დაკავებული „კმარას“ ორი აქტივისტის – გიორგი კანდელაკის და ლუკა წულაძის – გათავისუფლებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ამის გამო მიხეილ სააკაშვილმა საგარეო უწყებას მადლობა გადაუხადა.

საქართველოს პრეზიდენტმა ასევე უკრაინულ მხარესაც გადაუხადა მადლობა. მისი თქმით, ბელორუსში დაკავებული ქართველების გათავისუფლებაში მნიშვნელოვანი წვლილი უკრაინის ხელისუფლებამ და მისმა საგარეო უწყებამაც შეიტანა.

პრეზიდენტმა საქმიანობა მოუწონა „კმარას“ აქტივისტებს და განაცხადა, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმეა.

ქართველი „კმარელები“ მინსკში 24 აგვისტოს დააკავეს. 25 აგვისტოს ბელორუსიის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ისინი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულა.

#### ნინო ბურჯანაძე გუშინ ნიუ-იორკში გაემგზავრა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გუშინ სამდღიანი ვიზიტით ნიუ-იორკში გაემგზავრა.

ნინო ბურჯანაძე გაეროს საგარეო ურთიერთობების საბჭოს სხდომაზე მოხსენებით გამოვა, სადაც საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე ისაუბრებს.

სამიტის ფორმატში გაიმართება სუამის ქვეყნების პარლამენტის სპიკერთა ოფიციალური შეხვედრა. ვიზიტის ფარგლებში ნინო ბურჯანაძე ბალტიის რეგიონის პარლამენტების სპიკერთა შეხვედრას წარუძღვება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სამი დღის განმავლობაში შეხვედრებს გამართავს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერთან ბორის გრიზლოვთან, ჰოლანდიის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარესთან ფრანს ვისგლასთან, ესპანეთის დეპუტატთა პალატის პრეზიდენტთან მანუელ მარინსთან, თურქეთის ეროვნული ასამბლეის სპიკერთან ბულენ არინსსთან, იტალიის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარესთან პიერფერდინანდო კასინისთან, ესტონეთის პარლამენტის სპიკერთან ენ ერგმასთან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან რენე ვან დერ ლინდენთან, უკრაინის უმაღლესი რადას სპიკერთან ვლადიმერ ლიტვინთან, ისრაელის ქნესეთის სპიკერთან როვონ რივლინსთან, საბერძნეთის პარლამენტის პრეზიდენტთან ანა რსარუდა ბენაკსთან, კანადის თემთა პალატის სპიკერთან პიტერ მილიკენთან და კანადის სენატის სპიკერთან დენიელ ჰეისთან.ჯ

#### ქართველ კანონმდებლებს ევროსაბჭოში 5 კანონპროექტი მიაქვთ

საპარლამენტო დელეგაცია მიხეილ მაჭავარიანის ხელმძღვანელობით, გუშინ, ერთკვირიანი ვიზიტით სტრასბურგში გაემგზავრა.

როგორც მიხეილ მაჭავარიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს ევროსაბჭოში მიაქვთ 5 კანონპროექტი, რომელიც თვითმმართველობის ორგანოებს - მათ პასუხისმგებლობას და უფლებამოსილებებს შეეხება.

აღნიშნულ კანონპროექტებს ქართველი პარლამენტარები ევროსაბჭოში ექსპერტების თანდასწრებით განიხილავენ, მიიღებენ შესაბამის რეკომენდაციებს და კანონპროექტებს მათი გათვალისწინებით ჩაასწორებენ. პარლამენტის ვიცე-სპიკერის განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია ერთი თვის ვადაში მოამზადოს აღნიშნული კანონპროექტები და პარლამენტის პლენარულ სხდომასაც წარუდგინოს.

მაჭავარიანის განცხადებით, ევროსაბჭო საქართველოს პარლამენტს დაეხმარება, რათა ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაში მოვიდეს კანონპროექტთა პაკეტი, რომელიც საქართველოში თვითმმართველობის ჩამოყალიბებას შეეხება.

ინტერპრესნიუსი

### ⊙ პანორამა

„ალ-ყაიდამ“ ხელთ იგდო ერაყის ქალაქი ელ-ქაიმი. ტერორისტებმა დახვრიტეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც ამერიკელებთან თანამშრომლობდნენ და ქალაქში შემოიღეს ისლამურ სამართალზე მკაცრად დაფუძნებული წესები. სირიის საზღვრის მახლობლად მდებარე ამ ქალაქის თავზე აღმართეს აბუ მუსაბ აზ-ზარქავის დაჯგუფების დროშა. ელ-ქაიმის ქუჩებში ბანდიტები დათარეშობენ.

* * *

ჩერნობილის ავარიის შედეგებს კიდევ დაახლოებით 4 ათასი ადამიანი



ემსხვერპლება. საქმე ეხება იმ ბავშვებს, რომელთა ორგანიზმშიც რადიაციამ გამოიწვია ფარისებრი ჯირკვლის კიბო. სულ კი ავარიის შედეგად რადიაციის უზარმაზარი დოზა მიიღო 586 ათასმა კაცმა.

* * *

ეგვიპტის ერთ-ერთ თეატრში მომხდარი ხანძრის დროს დაიღუპა 32 და დაშავდა 37 კაცი. ხანძრის გაჩენის მიზეზი გახდა სანთლები, რომლებსაც იყენებდნენ როგორც ფესტივალის დეკორაციას. ერთ-ერთი სანთელი დაეცა ხის იატაკზე, რის შედეგადაც გაჩნდა ცეცხლი. ხანძრის წარმოქმნისას თეატრში ატყდა პანიკა, ჭყლეტა. მრავალი ადამიანი დაიღუპა სულის შეხუთვის გამო.

* * *

ინდონეზიაში „ბოინგის“ კატასტროფის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 150-ს მიაღწია. დაიღუპა ეკიპაჟის 5 წევრი და 102 მგზავრი, 14 ადამიანი სასწაულით გადარჩა ცოცხალი. დანარჩენი დაღუპულები არიან სამმილიონიან ქალაქ მედანის მცხოვრებლები, რომლის სახლებზეც დაეცა თვითმფრინავი. დაღუპული მგზავრებიდან სამი უცხოელი იყო – ორი ჩინელი და ერთი მალაიზიელი. დაღუპულთა ოჯახების წევრებს გადაუხდიან კომპენსაციას 5-5 ათასი დოლარის ოდენობით.

## სოლოლაკი-ისანი

მტკვრის მარცხენა მხარეს, ახლანდელ მეტეხის პლატოზე, ადრე შუა საუკუნეების თბილისის გარეუბანი სოღდებილი მდებარეობდა. ჯერ კიდევ XIII საუკუნეში იგი ქალაქის ფარგლებში არ შემოდიოდა.



იხ. მე-6 გვ.

### ⊙ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## საქართველოს ხელისუფლება არ შეუშვებს ვაგით ალექპეროვს შავი ზღვის აფხაზეთის შელფზე

„ლუკოილი“ გახდა მორიგი განხეთქილების ვაშლი საქართველოსა და თვითაღიარებულ აფხაზეთის რესპუბლიკას შორის. როგორც ამ ცოტა ხნის წინათ განაცხადა აფხაზთა პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა, რეგიონის ხელისუფლებას მიმართა „ლუკოილმა“, „რომელსაც აქვს რესპუბლიკაში ნავთობის საბადოებთან დაკავშირებული სერიოზული გეგმები“, თანაც, კომპანიამ უკვე წარმოადგინა სამუშაოთა კონკრეტული პროექტი. ამ განცხადებების პასუხად საქართველოს პარლამენტის საგარეო კავშირურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო არ დართავს აფხაზეთს შავი ზღვის აკვატორიაში ნავთობის მოპოვების ნებას.

იხ. მე-2 გვ.

## თუ ბილბორდი გზაში შემომეფეთა



როცა ალკოჰოლურ სასმელს რეკლამას უწევს ცნობილი მსახიობი ან ცნობილი სპორტსმენი ქალი, ძალაუნებურად იფიქრებს ადამიანი, რომ ეს სასმელი აუცილებლად უნდა იგემონ ქალებმაც. ჯორჯ ბუშის ქალიშვილები, მაგალითად, წლეულს ორჯერ წააბრძანეს პოლიციაში ლუდის თაყვანისცემის გამო. რუსეთის მთელი ახალგაზრდობა (სტუდენტობაც და მოსწავლეობაც) სიამოვნებით წრუპავს ლუდს.

იხ. მე-4 გვ.

## ვინ ყიდის მკვდარ დედალს?



იხ. მე-4 გვ.

*ერთი ქალბატონი ქათმის გამყიდველს ეჩხუბებოდა. მიზეზი კი წინა დღის ნაყიდი ქათამი იყო, რომელიც მოხარშვის შემდეგ გაშავებულიყო. ნერვებაშლილმა ქალმა ეს ქათამი ლამის სახეში ჩაარტყა გამყიდველს.*

საქართველოს რესპუბლიკა

№ 210. ოთხშაბათი, 7 სექტემბერი, 2005 წელი.

◉ დავა

# ციცხვი და მკვეხარა ქოთანი,

## ანუ დაპირისპირება მანანა ნაჭყებიას თვალით

**ბექაურ-რამიშვილის სკანდალით გამოწვეული დაპირისპირება საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის გრძელდება. დავით გამყრელიძის სიტყვებით გამოწვეული აღშფოთება ვიცე-სპიკერმა ჯერაც ვერ დაიცხრო, პარლამენტის ბიუროს სხდომა გუშინაც ამ საკითხით დაიწყო. რადგან ბიუროზე „მემარჯვენეთა“ ლიდერი არ იმყოფებოდა, მას თანაპარტიელი მანანა ნაჭყებია გამოექომაგა. ქალბატონი მანანა მიხეილ მაჭავარიანის „ულამაზო საქციელს, წყევლა-ფიცის ინტონაციას“ თანამდებობის პირისთვის შეუფერებლად მიიჩნევს. მისი თქმით, პარლამენტის ვიცე-სპიკერის რეაქცია არაადეკვატური იყო:**

– დავით გამყრელიძეს განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, დასვა ის შეკითხვები, რომლებიც საზოგადოებას აინტერესებს, ისაუბრა არსებულ ეჭვებზე. ბატონი დავითი მიხეილ მაჭავარიანს შეეხო, როგორც იმ პირს, ვისზეც დაკავებამდე ორი კვირით ადრე ელაპარაკა შალვა რამიშვილი. ჟურნალისტის ინფორმაციით, ბექაურის უეცარ გამდიდრებასთან და ტერმინალში წილების ჩადებასთან მაჭავარიანიც იყო დაკავშირებული.





მოდით, გავაანალიზოთ. არსებობს ტერმინალი, რომელშიც განთავსებულია საბაჟო დეპარტამენტი. მოულოდნელად, დეპარტამენტი უარს ამბობს აქ ტვირთის განბაჟებაზე და გადადის ტერმინალ „ოპიზარში“, რომელშიც წილის მფლობელი რატომღაც უცებ ხდება კობა ბექაური. ვერც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი ვერ დაიჯერებს, რომ საბაჟო დეპარტამენტი ამ ტერმინალის მიერ შეთავაზებული პირობებით უმალვე მოიხიბლა და ბუნებრივად გაუჩნდა იქ გადაბარგების სურვილი. გარიგებები, „ჩაწყობები“, კლანები – ეს მექანიზმი ჩაირთო ტვირთების განბაჟების ბიზნესის ხელში ჩასაგდებად. ცხადია, ეს ბექაურს არ გადაუწყვეტია, უფრო მაღალ დონეზე მოგვარდა. არსებობს ეჭვი, რომ ეს ყველაფერი მიხეილ მაჭავარიანის მონაწილეობით გადაწყდა.

„მემარჯვენეები“ პარლამენტის ვიცე-სპიკერისგან ეჭვის გაფანტვასა და თავისი სიმართლის დასაბუთებას მოითხოვენ. თუმცა, ქალბატონი მანანა ამას ნაკლებად მოელის. თუ ტერმინალის საქმეში მაჭავარიანი არ არის გარეული, თავისი სიმართლის დასამტკიცებლად მას სხვა გვარის დასახელება მოუწევს. მანანა ნაჭყებია ფიქრობს, რომ ხელისუფლებისთვის მიუღებელია იმ გვარის წამოტივტივება, რომლის სიტყვის თანახმადაც გადაბარგდა საბაჟო დეპარტამენტი ერთი ტერმინალიდან მეორეში.

სხვათა შორის, ბოლო დროს პარლამენტის კულუარებშიც ხშირად ლაპარაკობენ ბატონ კობა ბექაურის უეცარ გამდიდრებაზე. ვიღაცამ ხელფასის გარდა ფულის მიღების გზა კვლავაც ვერ მოძებნა, ვიღაცა კი ადრეც ფლობდა დიდ ქონებას და „ცოტაც“ წაუმატა... აი, ბექაურს ბევრი არაფერი გააჩნდა და ძალიან გამდიდრდაო, – ამბობდნენ. თუმცა, ეს ყველაფერი ჭორებად რჩებოდა. და რჩება, დოკუმენტებით არავის დაუდასტურებია. – არც ლევან მამალაძე უნახავს ვინმეს აფრიკაში ნიანგებზე მონადირე, არც ყოფილი მინისტრების ხელში უნახავთ ქრთამი. მაგრამ ხმები დადიოდაო, – ამბობს ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ მდივანი. ქალბატონ მანანას თქმით, დავით გამყრელიძე და მისი თანაგუნდელები სწორედ ხმების, დღესაც არსებული ეჭვების გამო აყენებენ საკითხს მწვავედ.

სანამ „მემარჯვენეთა“ ლიდერი მოიხსენიებდა მაჭავარიანს კორუფციულ გარიგებებთან კავშირში, ეს ეჭვი კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარემაც გამოთქვა ტელეკომპანია „202“-ის ეთერში. თუმცა ბატონი მიხეილი რატომღაც მხოლოდ გამყრელიძის ნათქვამზე გაცხარდა. რაკი ამის მიზეზს მე ვერ ჩავხვდი და არც იმის საშუალება მქონია, ბატონი ვიცე-სპიკერისთვის მეკითხა, ქალბატონ მანანას ვთხოვე ახსნა. სიმართლის სიმწარის გარდა, მანანა ნაჭყებია დავით გამყრელიძის ნათქვამით გამოწვეულ განსაკუთრებულ გაღიზიანებასა და კობა დავითაშვილის სიტყვების უპასუხოდ დატოვებას ასე ხსნის:

– ბატონი კობა წარსულში მათი თანაგუნდელი იყო, თუმცა, მოგვიანებით ღირსეული ნაბიჯი გადადგა და უმრავლესობას გაემიჯნა. დავით გამყრელიძე კი თავიდანვე წინააღმდეგი იყო რევოლუციისა, რაკი იცოდა, რა ძალა აპირებდა ხელისუფლებაში მოსვლას.

ქალბატონ მანანას თქმით, მემარჯვენეთა და კონსერვატორთა ლიდერებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაუჩნდათ ეჭვები. ეს იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოება ნამდვილად არის ამ საკითხებით დაინტერესებული, რომ ეს ეჭვები მხოლოდ დავით გამყრელიძეს არ გასჩენია. მიხეილ მაჭავარიანის გაცხარება, კრიტიკის საპასუხოდ არაეთიკური მიმართვები კი იმას ნიშნავს, რომ ვიცე-სპიკერი პოლიტიკისთვის არ არის მომწიფებული. ვფიქრობ, მიხეილ მაჭავარიანმა ფიასკო განიცადაო.

პოლემიკა არ დამთავრებულა. ხელისუფლება ფიქრობს, რომ საკითხის ავ-კარგის გასარჩევად საპროცედურო საკითხების კომიტეტის ჩარევაც საკმარისია, ოპოზიცია კი პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს. ბოლოს იმასაც აღვნიშნავ, რომ მანანა ნაჭყებიას აზრით, დავით გამყრელიძე იმ ციცხვს ჰგავს, მკვეხარა ქოთანს რომ წამოადგა თავს.

**რუსუდან გახარია**

◉ ცხელ კვალზე

# თუ ბექაური სუფთაა, მაშინ მაჭავარიანს რისი ეშინია?

(პირველი გვერდიდან)

მიხეილ მაჭავარიანი იქნება თუ ნებისმიერი სხვა პირი, მათ მიმართ რაიმე ეჭვების გაჩენისას, არსებობს სამართალდამცველი ორგანოები, რომლებიც ამას იკვლევენ და, შესაბამისად, სასამართლო ამტკიცებს ამ ბრალდებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ადამიანის პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე საუბარი პარლამენტის ფარგლებში და საკანონმდებლო ორგანოს მასშტაბით.

რაც შეეხება ბატონი მიხეილის რეაქციას, ეს ბუნებრივი იყო. როდესაც ადამიანს ბრალს სდებენ და იგი უდანაშაულოდ გრძნობს თავს, ასეთი რეაქცია არ უნდა გაგვიკვირდეს. მით უმეტეს, რომ ბატონმა დავით გამყრელიძემ ძალზე მწვავე განცხადება გააკეთა.

სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ვის რა წილები აქვს და ვის რა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში მიუძღვის წვლილი, მაგრამ მსგავსი ტიპის ბრალდება ნებისმიერი დეპუტატისგან ნებისმიერ შემთხვევაში მიუღებელია.

**დავით ზურაბიშვილი:** – ვფიქრობ, ცოტა უცნაური, არაადეკვატური რეაქცია ჰქონდა მიხეილ მაჭავარიანს დავით გამყრელიძის გამოსვლის შემდეგ. რა თქვა აღმაშფოთებელი დავით გამყრელიძემ? არაფერი, გარდა იმისა, რომ თურმე შალვა რამიშვილმა რაღაც უთხრა მას „ოპიზას“ საქმეში მიხეილ მაჭავარიანის მონაწილეობაზე.

უცნაურია, თან ამბობენ, რომ ამ „ოპიზაში“ არანაირი კანონდარღვევა არ მომხდარა ბექაურთან დაკავშირებით და ბექაური სუფთაა, არაფერი დაუშავებია. თუ ბექაური სუფთაა, მაშინ მაჭავარიანს რისი ეშინია?

თუ სუფთა საქმეში დაგაბრალეს მონაწილეობა, ამის გამო არ უნდა გაბრაზდე და არც უნდა შეგეშინდეს. მაჭავარიანი სრულებითაც არ არის გაუწონასწორებელი ადამიანი და მას ასეთი რეაქცია არ უნდა ჰქონოდა.

მაგრამ ამ გაცხარების მიზეზი სხვა რამ არის. მაჭავარიანმა, უმრავლესობის სხვა წევრებისგან განსხვავებით, შესაძლოა მშვენივრად იცოდეს, რომ საქმე ცუდად მიდის. რა თქმა უნდა, ხმის ამომღები ასი წელი არ არის, მაგრამ შესაძლოა ერთ მშვენიერ დღეს დადგეს ისეთი მომენტი, უმაღლეს ხელისუფლებას დასჭირდეს ვიღაცის გაწირვა და თქვას – ჩვენიანსაც ვსჯითო. მნიშვნელობა არ ექნება, იგი დამნაშავე იქნება თუ არა.

ზურაბ ჟვანიას სახით მთავარი ზურგი მაჭავარიანს აღარ ჰყავს, ვისი იმედი უნდა ჰქონდეს? ბუნებრივია, ადამიანს შეეშინდა. შეიძლება მას ოდესმე ხელი მოჰკიდონ, მით უფრო, რომ ადრეც იდგა ასეთი საფრთხის წინაშე. ოქრუაშვილის გენპროკურორობის დროს, მის წინააღმდეგ სერიოზული ღონისძიებები მზადდებოდა, მაშინ მას ზურაბ ჟვანია გადაეფარა და დაიცვა ეგეც და ნოღაიდელიც.

ასე რომ, მაჭავარიანს შეეშინდა საკუთარი უსაფრთხოების, რაღაც არ დაიწყონ ჩემს წინააღმდეგო. ანუ გამყრელიძის კი არ შეეშინდა, არამედ თავისიანისა, ვინც გვერდით უზის და ახლა ერთ ჭკუაზე არიან. გვერდით მჯდომმა შეიძლება მეორე დღეს ციხეში ჩაგსვას და დიდი პათოსით განაცხადოს, რომ ჩვენ არავის ვინდობთო.

რაც შეეხება ბესო ჯუღელის მხარდაჭერას, უმრავლესობის წევრები ხმამაღლა ყველას მხარს დაუჭერენ, მაგრამ მხოლოდ სიტყვიერი მხარდაჭერა არაფერს ნიშნავს. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, გადაწყვეტილებებს ეს ხალხი არ ღებულობს. არც ბესო ჯუღელს, არც ბიუროს წევრთა 80 პროცენტს არავინ ჰკითხავს მაჭავარიანის დაჭერა-არდაჭერის საკითხს, თუ საერთოდ ასეთი რამ მოიმოქმედეს. არადა, სად არის გარანტია, რომ ამას არ გააკეთებენ? მით უფრო, რომ მაჭავარიანმა კარგად იცის (და არ შეიძლება არ იცოდეს), რომ ქვეყანაში საქმე კარგად არ მიდის, და ყველაფერი თითოროლა ადამიანის ხუშტურზეა დამოკიდებულიო.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ ერიჰაა!

# 12-გზის ნასამართლევს რაღა დასმენა უნდოდა?

**51 წლის წყალტუბოელი ნარკობარიგა მალხაზ თალაკვაძე გინესის რეკორდების წიგნშია შესაყვანი.**

ის **12-ჯერ** დაუჭერიათ **(ყოჩაღ, პოლიციას!)**.

**12-ჯერვე** ნარკოტიკების რეალიზაციისთვის სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსჯიათ, მაგრამ...

**12-ჯერვე** თავისი მარიფათით, გავლენიანი სამეგობროთი და მოსყიდული სამართალდამცველებით, ვადაზე ადრე გაუთავისუფლებიათ. **(ყოჩაღ, სასამართლოს!)**.

მალხაზ თალაკვაძეს, თურმე, თბილისი, ფოთი, ქუთაისი, სამტრედია, ხონი... ლამის მთელი საქართველო, უფრო ზუსტად, ლამის მთელი საქართველოს ნარკომანები და სამართალდამცავები იცნობდნენ.

როგორია, ნარკორეალიზატორს, ჩვენი შვილების, ძმების, ახლობლების მომწამვლელს, დამღუპველს, გამანადგურებელს **12-ჯერ** რომ დაიჭერ, **12-ჯერ** მიუსჯი და **12-ჯერვე** საღ-სალამათს, ბარიგობის უკეთეს ხასიათზე, უძლეველობის მანიით შეპყრობილს გაათავისუფლებ!!!

მერე... შინაგან საქმეთა სამინისტრო ახალი ინფორმაციით „გაგვახარებს“ – ანონიმური ზარის საფუძველზე სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამსახურის თანამშრომლებმა წყალტუბოელი ნარკორეალიზატორი მალხაზ თალაკვაძე აიყვანეს და მისი ბინიდან, უფრო ზუსტად – ავტოსადგომებიდან, „მერსედესისა“ და „რენოს“ მარკის ავტომანქანები ამოიღესო. მერსედესი, თურმე, აჭარის ყოფილი ლიდერის ასლან აბაშიძის დაცვის უფროსს დავით ხალვაშს, მეტსახელად „ქელფეთას“ ეკუთვნოდა.



მანქანების ამოღებამდე, ნარკორეალიზატორს 42 ჩეკი გასაყიდად გამზადებული „ოპიუმი“ უპოვეს, „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატიც წაართვეს და... მეცამეტე „სროკზე“ გაუშვეს.

იცით, ალბათ, მალხაზ თალაკვაძის დამსმენი, როგორც სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით ვებულობთ, 1000 ლარით დაჯილდოვდება!

კი, მაგრამ... რა დასმენა უნდოდა **12-ჯერ** ნასამართლევ კაცს? ვის სახელზე გაფორმდება და რომელი მუნდირიანი ჩინოვნიკის ჯიბეში ჩავა ეს ფული?

ჩვენი სასამართლო რომ სასამართლოს ჰგავდეს და კორუფციაში არ იხრჩობოდეს, ერთი და იგივე მძიმე დანაშაულისთვის მესამე-მეოთხე გასამართლებაზე მაინც მიუსჯიდნენ ნარკობარიგას იმდენს, „ც“ კლასის „მერსედესებს“ კი არა, მზის სინათლეს მინიმუმ 10 წლით მონატრებოდნენ.

საინტერესოა, ახლა რამდენს მიუსჯიან თალაკვაძეს?

**სპარტაკ ქოზულია**

**P.S. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მალხაზ თალაკვაძე 12-ჯერ კი არა 7-ჯერ არის ნასამართლევიო. დიდი შეღავათია!**

◉ ჩვენში საინვესტიციო გარემო არ არსებობს!

# სად ვეძებოთ სუსტი რგოლი?

**ამ დღეებში თბილისში თურქ ბიზნესმენებს ელიან. საქართველოსა და თურქეთის ეკონომიკური თანამშრომლობის სახელმწიფოთაშორისი კომისიის სხდომაზე დასასწრებად სამთავრობო დელეგაციას თურქეთის მსხვილ ბიზნესმენთა დიდი ჯგუფიც ჩამოჰყვება.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ქართველ კოლეგებთან ერთად ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე იმსჯელებენ. საუბარი იქნება ახალი ინვესტიციების მოზიდვაზე. თუმცაღა, დღეს არაერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ საქართველოში საინვესტიციო გარემო არ არსებობს. ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით მოლოდინმა ჯერჯერობით არ გაამართლა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ ამ საქმეში ჩახედული პირები. ერთ-ერთ მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ მათი თქმით, მთავრობამ ძალიან ცუდად იცის, თუ რა ბიზნესშესაძლებლობებია საქართველოში. მაგალითად, ურთიერთობები აშშ-სთან მხოლოდ სახელმწიფო დონეზეა დასული და საქართველოში კერძო ამერიკული ინვესტიციები თითქმის არ არსებობს. ზოგიერთ ქვეყნებთან კი ბიზნეს-ურთიერთობები თურმე საერთოდ არ გაგვაჩნია.

ბევრს სჯეროდა, რომ საგადასახადო ამნისტიისგან ქვეყანა ფინანსურ ეფექტს მიიღებდა. პარლამენტში ზოგიერთები მიიჩნევენ, – წარუმატებლობის მიზეზი ის გახლავთ, რომ კანონის საბოლოო ვარიანტი თავდაპირველად არსებულ იდეას არ შეესაბამებოდა. ამასთან, „არაეფექტურად მუშაობს ასევე მოქმედი საგადასახადო კოდექსის ბევრი მუხლი. მაგალითისთვის თამბაქოს დაბეგვრის მექანიზმიც კმარა. გაზრდილმა აქციზმა ცუდი ფისკალური ეფექტი მოგვცა. ამიტომ, შესაძლებელია მის გადახედვაზე ვიფიქროთ“, – განაცხადა ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ ვანო ჩხარტიშვილმა.

პარლამენტი მომავალში ელჩების საკითხზეც იფიქრებს. საუბარია იმაზე, რომ თითოეული ელჩის დამტკიცებას ამიერიდან კანონმდებლები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან. პირველ რიგში ყურადღება მიექცევა იმას, რომ ელჩებს აუცილებლად იურიდიული და ეკონომიკური განათლება ჰქონდეთ. კულუარებში ლაპარაკობენ, რომ ელჩები, რომლებიც დღეს მსოფლიოს ქვეყნებში გვყავს აკრედიტებული, ეკონომიკურ სფეროში მეტად გამოუცდელი არიან. არადა, ცხადია, ელჩმა თუ არ იცის ეკონომიკა, თუ არა აქვს სათანადო საინვესტიციო პროექტები, ვერ იმუშავებს. ანუ, იგი უნდა უკავშირდებოდეს იმ ადამიანებს (შინ თუ გარეთ), ვისაც ასეთი პროექტები აქვთ.

კულუარებში იმასაც ლაპარაკობენ, რომ საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით მოლოდინმა „ცუდი ელჩების“ გამო არ გაამართლა. ვითომ ასეა? სულ ახლახან, სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ საზოგადოებას კორუფციასთან ბრძოლის ახალი გეგმა წარუდგინა, რომელიც ამ მიმართებით არაერთ გადამჭრელ ღონისძიებას ითვალისწინებს. კვამლი ხომ უცეცხლოდ არ ჩნდება?..

**მზია გელენავა**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტი: განცხადება სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ

**პარასკევს უელსის ქალაქ ნიუპორტში დასრულდა ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ორდღიანი არაფორმალური შეხვედრა. დღის წესრიგის მთავარი თემები იყო ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ თურქეთთან მოლაპარაკების დაწყება, აგრეთვე, დებატები ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილი ვითარება (...).**

სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ განცხადებაში ევროპის საგარეო-პოლიტიკურ უწყებათა მეთაურებმა მოუწოდეს კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარეს, დაუყოვნებლივ დაიწყონ განიარაღება. „მხოლოდ რეგიონის სრული დემილიტარიზაცია შეძლებს სამშვიდობო პროცესის უზრუნველყოფას“, – ხაზგასმულია დოკუმენტში, რომელსაც ევროკავშირის წევრისახელმწიფოების გარდა შეუერთდნენ რუმინეთი, ბულგარეთი, ხორვატეთი, თურქეთი, აგრეთვე, ალბანეთი, მაკედონია, ნორვეგია და უკრაინა.

**რადიო „ამერიკის ხმა“ (აშშ), 6 სექტემბერი.**

(იბეჭდება შემოკლებით).

# საქართველოს ხელისუფლება არ შეუშვებს ვაგით ალექფეროვს შავი ზღვის აფხაზეთის შელფზე

(პირველი გვერდიდან)

ჯერ კიდევ 2001 წელს აცხადებდა „ლუკოილის“ პრეზიდენტი ვაგით ალექფეროვი, რომ მისი კომპანია დაინტერესებულია აზოვის და შავი ზღვების შელფებით. 2003 წელს ცნობილი გახდა, რომ „ლუკოილმა“, „როსნეფტმა“, აგრეთვე, კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციამ შექმნეს ერთობლივი საწარმო „პრიაზოვნეფტი“ აზოვის ზღვის შელფზე გაზის საბადოს დაზვერვა-დამუშავების მიზნით. უბნის ათვისების პროგრამა ითვალისწინებს ბურღვის დაწყებას მიმდინარე წელს. შავ ზღვაზე კომპანიას პროექტები ჯერჯერობით არ გააჩნია. წინასწარი მონაცემებით, ნავთობის მარაგი შავი ზღვის საქართველოს შელფზე 200 მილიონ ტონადაა შეფასებული.

ამ ცოტა ხნის წინათ აფხაზურმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა ქალაქ ოჩამჩირის მახლობლად შავი ზღვის შელფის დამუშავების დაწყების შესაძლებლობის შესახებ. თუმცა, როგორც აფხაზეთის პრეზიდენტმა თქვა, „ლუკოილის“ მიერ წარმოდგენილი პროექტი მიუღებელი აღმოჩნდა მისი ხელისუფლებისთვის. „ლუკოილში“ ვერ შევძელით ინფორმაციის შემოწმება იმის თაობაზე, ნამდვილად გეგმავს თუ არა კომპანია მუშაობის დაწყებას საქართველოს შელფზე და ცდილობს თუ არა იგი აფხაზთა ხელისუფლებასთან კონკრეტული პროექტების პირობების შეთანხმებას.

მაგრამ საქართველო არ აპირებს აფხაზეთს მისცეს აკვატორიაში ნედლეულის დამოუკიდებლად განკარგვის უფლება. „ლუკოილის“ შესაძლო გეგმებზე საუბრისას, კოტე გაბაშვილმა განაცხადა: „რაც შეეხება რუსეთს, თუ იგი მიაღწევს რაღაც მორიგებას აფხაზეთთან, ამით დაარღვევს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების ცნობილ შეთანხმებას და წერტილს დაუსვამს თავის მშვიდობისმყოფლურ მისიას“.

როგორც პარლამენტის კომიტეტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ანალოგიური გადაწყვეტილება წინათ უკვე მიიღო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ, რომელმაც აუკრძალა სხვა ბანკებს აფხაზეთში მუშაობა და დაემუქრა სერიოზული სანქციებით. „ზუსტად ასეთივე ურთიერთობა იქნება ნავთობმომპოვებელ კომპანიებთანაც. იქ ვერავინ შეძლებს ოფიციალურად მუშაობას საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე“, – თქვა ბატონმა გაბაშვილმა. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრმა ნიკა გვარამიამ, მას ეჭვი ეპარება იმაში, რომ რომელიმე ქვეყანა ან კომპანია დათანხმდეს აფხაზეთში ნავთობის მოპოვებას. „როგორც კი რუსული ან რომელიმე სხვა ქვეყნის კომპანიები შევლენ იქ, მათ წარმოექმნებათ სერიოზული პრობლემები ნავთობის ბაზარზე. აქ დიდია წაგების რისკი. ეს ისეთი ბაზარია, რომელსაც ძალზე მკაცრად აკონტროლებენ, და ნებისმიერი ინსინუაცია ამ შემთხვევაში გამორიცხულია“, – თქვა მან.

მანამდე იტყობინებოდნენ, რომ საქართველო-თურქეთის საზღვრის მახლობლად მდებარე შელფზე, უახლოეს მომავალში შეიძლება დაიწყოს ნავთობის მოპოვება კონსორციუმმა, რომლის ოპერატორია ამერიკული „ანადარკო“. აჭარის ლიდერმა განაცხადა, რომ ასეთი რამ თუ მოხდება, რესპუბლიკის ხელისუფლება „არ დაჯდება გულხელდაკრეფილი“ და თვითონ აითვისებს ნავთობის საბადოს თავის აკვატორიაში.

2000 წელს „ანადარკო პეტროლეუმმა“ და საქართველოს ეროვნულმა კომპანიამ „საქნავთობმა“ შექმნეს ერთობლივი საწარმო „ანადარკო ჯორჯია“, რომელმაც შავი ზღვის შელფზე ნავთობის ძიება-მოპოვების 25-წლიანი ლიცენზია მიიღო. მიმდინარე წელს, მონაწილეთა შემადგენლობა გაფართოვდა. „ბრიტიშ პეტროლეუმს“ პროექტში ერგო 28,5 პროცენტი, „ანადარკო ჯორჯიას“ – 48 პროცენტი, გარდა ამისა, პროექტში შევიდნენ „თურქიშ პეტროლეუმ ოვერსის“ – 13,5 პროცენტი და „იუნოკალი“ – 10 პროცენტი.

**დენის რედროვი, 6 სექტემბერი.**

ВРЕМЯ

# „ძმობა“ ვერ გადაჭრის ქართულ-აფხაზური ურთიერთობის პრობლემებს

**აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატი აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ „ქართულ-აფხაზური ურთიერთობის კავშირ „ძმობაში“ მონაწილეობის გამო**

**აჭარაში შექმნილი „ქართულ-აფხაზური ურთიერთობის კავშირი – ძმობა“ ვერ გადაჭრის ქართულ-აფხაზური ურთიერთობის პრობლემებს, ხაზგასმულია ღია წერილში, რომელიც აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატმა თემურ აჩუგბამ 5 სექტემბერს გაუგზავნა აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს.**

თემურ აჩუგბას ამ ორგანიზაციის წინაშე დასახული მიზნები და ამოცანები მიაჩნია გულუბრყვილოდ, რადგან „12 წლის განმავლობაში საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობის მოწესრიგება ვერ შეძლეს ისეთმა ავტორიტეტიანმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორიც არის გაერო, ეუთო, ევროკავშირი, ევროპის საბჭო, აგრეთვე, ისეთმა დიდმა სახელმწიფოებმა, როგორიც არის რუსეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და სხვა“. დეპუტატის აზრით, ამ ორგანიზაციის შექმნის ინიციატორები საქართველოს ხელისუფლების სოციალურ შეკვეთას ასრულებენ.

თემურ აჩუგბა აჭარაში მცხოვრებ ახალგაზრდა აფხაზებს აფრთხილებს, თავი შეიკავონ ამ ორგანიზაციაში მონაწილეობისგან. აჩუგბას შეშფოთებას იწვევს, ასევე, „კავშირის“ ლიდერების გამონათქვამები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის „სამართლიანი“ მოგვარების შესახებ საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის „კეთილი ზრახვების“ თაობაზე.

„მსგავსი ორგანიზაციები ვერ გადაჭრიან ისეთ რთულ პრობლემებს, როგორიც არის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება“, – მიაჩნია აჩუგბას. მისი აზრით, „ამ „ძმობის“ წევრობამ შეიძლება აუნაზღაურებელი ზიანი მოუტანოს აჭარაში აფხაზური დიასპორის ერთიანობას და თვით აჭარაშიც გაამწვავოს ქართულ-აფხაზური ურთიერთობა“.

„აფხაზებს სხვა გზა არ დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ მოიგერიონ თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისა და სახელმწიფო დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ნებისმიერი თავდასხმა, ქართველებს კი უნდა ეყოთ გამბედაობა და აღიარონ აფხაზური სახელმწიფოს სუვერენიტეტი“, – ხაზგასმულია დეპუტატ აჩუგბას ღია წერილში.

**ანჟელა ქუჩუბერია, „კავკაზსკი უზელ“ (ინტერნეტ-გამოცემა), რუსეთი, 6 სექტემბერი.**

◉ ინფორმაცია

### მიხეილ მაჭავარიანი გენპროკურორს მიმართავს

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერის დავით გამყრელიძის განცხადებებს კიდევ ერთხელ გამოეხმაურა და ცილისწამება უწოდა.**

მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, იგი ოფიციალური წერილით მიმართავს გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს და მოითხოვს, დაიკითხოს შალვა რამიშვილი, რადგან როგორც დავით გამყრელიძე აცხადებს, ბექაური-რამიშვილის საქმეში მაჭავარიანის მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია თავად რამიშვილისგან მიიღო.

მაჭავარიანის განცხადებით, მას სტუდია „რეპორტიორის“ ხელმძღვანელის ვახტანგ კომახიძისგანაც აინტერესებს, რა ინფორმაციას ფლობს მის საქმიანობასთან დაკავშირებით.

„ჩემი ღირსების ამბავია და ბოლომდე უნდა გაირკვეს. ეს იქნება პრეცედენტი, რომ ამგვარი რამ არც ერთ პარლამენტარზე აღარ განმეორდეს“, – აცხადებს მიხეილ მაჭავარიანი.

### ბესო ჯუღელი ბექაურ-რამიშვილის საქმის განხილვას მოითხოვს

**პარლამენტარი ბესო ჯუღელი საპარლამენტო უმრავლესობის სხდომის მოწვევასა და ბექაურ-რამიშვილის საქმის განხილვას ხელახლა მოითხოვს.**

მისი განცხადებით, ფრაქციაში აუცილებლად უნდა გაირკვეს, რა მოხდა.

„ყველამ ვიცით, რომ რაღაც მოხდა, მაგრამ ყველანი თვალს ვხუჭავთ. ჩვენ უნდა მივცეთ ამ ფაქტს შეფასება“, – აღნიშნა ბესო ჯუღელმა. მისი განცხადებით, ბორჯომში საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე აღნიშნული საკითხი არ განხილულა. იგი არც „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს სხდომამ განიხილა.

„ერთხელ და სამუდამოდ საკითხი უნდა გაირკვეს და ყველა კითხვას პასუხი უნდა გაეცეს“, – აღნიშნა ბესო ჯუღელმა.

### ვიცე-სპიკერის მონაწილეობის საკითხს დღეს განიხილავენ

**საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტი რამიშვილ-ბექაურის ინციდენტში მიხეილ მაჭავარიანის მონაწილეობის საკითხს დღეს ოფიციალურად განიხილავს.**

როგორც გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ხათუნა გოგორიშვილმა განაცხადა, კომიტეტის სხდომაზე ოფიციალურად არის მოწვეული დავით გამყრელიძე.

“იმედს ვიტოვებ, რომ დავით გამყრელიძე დაგვდებს პატივს და გამოცხადდება ამ სხდომაზე. ჩვენ ოფიციალურად მოვისმენთ, რა სურს მას და რა ინფორმაციას ფლობს მაჭავარიანის საქმიანობასთან დაკავშირებით“, – განაცხადა გოგორიშვილმა.

### გამყრელიძეს „პირველი ბანდიტი“ უწოდეს

**საპარლამენტო ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ ბესო ჯუღელმა „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერს დავით გამყრელიძეს გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე „პირველი ბანდიტი“ უწოდა.**

ბესო ჯუღელის აღნიშნული განცხადება პარლამენტის ბიუროს სხდომაზე მანანა ნაჭყებიას იმ რეპლიკას მოჰყვა, რომლითაც მანანა ნაჭყებიამ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის მიხეილ მაჭავარიანისგან საზოგადოებაში მისი და ბექაურის საქმიანობასთან გაჩენილ კითხვებზე ამომწურავი პასუხების გაცემა მოითხოვა.

ბესო ჯუღელის განცხადებით, ნდობაზე თუ მიდგა საკითხი, საზოგადოება არც დავით გამყრელიძეს ენდობა, რადგანაც „დავით გამყრელიძე ბანდიტია“.

“ყოფილ პრემიერ-მინისტრ ოთარ ფაცაციას ხელშეწყობით დავით გამყრელიძემ სადაზღვევო სფეროში ექსკლუზიური ბიზნესი მოიწყო და დღეს სხვას ადანაშაულებს“, – აცხადებს ჯუღელი.

### არავითარი საგამოძიებო კომისია!

**საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი მხარს არ დაუჭერს დავით გამყრელიძის ინიციატივას კობა ბექაურის საქმიანობის გარკვევასთან დაკავშირებით, პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ.**

აღნიშნული განცხადება მიხეილ მაჭავარიანმა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გააკეთა. მაჭავარიანმა გუშინ პარლამენტის ბიუროს 2000 წლის საპარლამენტო კომისიის დასკვნა წარუდგინა.

მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, 2000 წელს პარლამენტში შექმნილ დროებით საგამოძიებო კომისიას, რომელიც საბიუჯეტო გარღვევებთან დაკავშირებით საქმეს სწავლობდა, პარლამენტარი დავით გამყრელიძე ხელმძღვანელობდა.

როგორც მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, მაშინდელმა დროებითმა საგამოძიებო კომისიამ 1999 წლის საბიუჯეტო გარღვევა პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას დააბრალა.

„გამყრელიძეს სწორედ ასეთი კომისიის შექმნა სურს და ცირკის გამართვა უნდა. მე ამის საშუალებას და უფლებას მას ვერ მივცემ“, – აღნიშნა მაჭავარიანმა.

### ვაჟა კილაძემ არაფერი იცოდა

**ტელეკომპანია „202“-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის, პარლამენტარ ვაჟა კილაძის განცხადებით, მას არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ შალვა რამიშვილი ამზადებდა ფილმს მიხეილ მაჭავარიანთან დაკავშირებით.**

როგორც ვაჟა კილაძემ აღნიშნა, მას შალვა რამიშვილისგან ჰქონდა ინფორმაცია, რომ „რაღაც ფილმი მზადდებოდა კობა ბექაურთან დაკავშირებით, მაჭავარიანის შესახებ კი არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდა“.

**ინტერპრესნიუსი**

⊙ სასახლე მიაქვთ?

# დიდ სახელს მოფრთხილებაც დიდი უნდა



**ისეთ საგანზე წერისას, როგორიც მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის გარშემო შექმნილი ვითარებაა, სათქმელი მართლა უნდა გქონდეს. მქონია თუ არა, მკითხველმა განსაჯოს.**

ნინო ანანიაშვილის ხელოვნებასა და ხელოვნობას მეც დიდ პატივს ვცემ, როგორც მრავალი და მრავალი. ეს პატივისცემა იმითაც გამომიხატავს, რომ თუკი გამოჩენილ ქართველ ბალერინაზე რამე შემხვედრია რუსულ პრესაში, გადმომიქართულებია და ჩვენს გაზეთებში გამომიქვეყნებია. ამას არ ვიმადლები და არ ვიყვედრები. მეც მეამაყებოდა ნინოს დიდი სახელი. მით უფრო გამაოცა მისმა, უკაცრავად კი ვარ, ცოტა ცინიკურმა განცხადებამ – რომელი ხელმძღვანელი იტყვის უარს პირობების გაუმჯობესებაზეო. საინტერესო არგუმენტია, არა? კი ბატონო (ან ქალბატონო), მაგრამ რის (ან ვის) ხარჯზე იუმჯობესებთ პირობებს, ეს არ ვიკითხოთ? ეგებ თქვენ იყოთ (და უნდა იყოთ!) ის პირველი ხელმძღვანელი, ვინც დიახაც უარს იტყვის! როგორი მსხვერპლის ფასად იუმჯობესებთ პირობებს, ამაზე თუ დაფიქრდით კარგად? თუ დაფიქრდით, ჩემთან ერთად რამდენ პატივისმცემელსა თუ თაყვანისმცემელს კარგავთ და გიღირთ ეს განა?..

საბალეტო სცენაზე ქალბატონ ნინოს ბრწყინვალედ განუსახიერებია არაერთი წმინდა, სუფთა, ჰაეროვანი, რომანტიკულ-ლირიკული სახე და ეგებ იმათგან გადმოიღოს „პრაქტიკაში“ მაღალზნეობრივი და მაღალმორალური მაგალითი...

ასევე გასაკვირია ქალაქის ორი ხელმძღვანელის (მერისა და პრემიერის) „უნისონური“ განცხადება – გადაწყვეტილება მიღებულია და არ შეიცვლებაო. თქვე დალოცვილებო, თუ გადაწყვეტილება მცდარია (რბილი თქმით), რატომ არ უნდა შეიცვალოს? გადაწყვეტილება კი არა, ახლადარჩეული პარლამენტი შეცვალეს, როცა მოინდომეს! გადაწყვეტილების მიღებამდე, საზოგადოებრივი აზრით არ უნდა დაინტერესებულიყვნენ, საზოგადოებისთვის არაფერი არ უნდა ეკითხათ? რა გამოდის – წინა მერი იყო და, რუსთაველის გამზირი ისე გადაკეტა კვირა დღეობით, მოსახლეობას არაფერი ჰკითხა. ახალი მერია და, საკუთარი ნებით „ასხვისებს“ სასახლეს. სამწუხაროდ, ჩვენში საზოგადოებრივი აზრი დიდი ხანია, რაც ხელისუფლების აზრით და კიდევ უარესი, ძალით შეიცვალა. ძალაუფლება კი, როგორც ცნობილია, საწამლავია (ამერიკელი ეკონომისტის, ადამსის გენიალური ფორმულა) და წამლავს კიდევაც „დიდკაცების“ (და „დიდქალების“) ხასიათს...

სასახლის დირექტორის (თუ გენერალური დირექტორის) პოზიციასაც შევეხები, ჩემთვის ასევე მიუღებელს: ის, ფაქტობრივად, დაუპირისპირდა კოლექტივსა და უამრავ მოზარდს. შეიძლება გაიგო თანამდებობის, მდგომარეობის დაკარგვის შიში, მაგრამ ცხოვრებაში დგება „ჭეშმარიტების მომენტი“, როცა რაღაცა უნდა გაწირო და შენს გუნდს დაუდგე გვერდით, რომ მერე მრავალთათვის თვალის გასწორებისა არ შეგრცხვეს...

ხალხო, ვიკმაროთ, რაც „კომუნისტური გადმონაშთების“ საბაბით წავართვით თუ დავუნგრიეთ ბავშვებს. კომუნისტების დროს იმათ უფასოდ ჰქონდათ საცურაო აუზები, ჩოგბურთის კორტები, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები, სპორტული მოედნები, პიონერთა ბანაკებით იყო მოფენილი ქვეყანა. ტალანტები ღარიბთა ოჯახებშიც ხომ იბადებიან და როგორ იარონ კომერციულ, ძვირადღირებულ ობიექტებზე!?

დაბოლოს, „მიღებულ გადაწყვეტილებას“ დავუბრუნდები და „დათა თუთაშხიადან“ მოვიშველიებ გარდათქმულ (პერიფრაზირებულ) სიბრძნეს: ჯერ წესია გადაწყვეტილება და მერე გადაწყვეტილებაა გადაწყვეტილება...

**თამაზ ეზანოიძე**



# როცა მუჰამედი მიდის მთასთან...

**თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გუშინ მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და მათი ის გულშემატკივრები, ვინც ამ გაჭირვების დღეებში უშურველად უდგას მხარში სასახლის ბინადართ, დედაქალაქის მერის გიგი უგულავას გამოჩენას ელოდნენ, პერსონისა, ვინც ამ არეულ-დარეულობის უპირველესი ავტორია და ვინც ამ ბოლო ხანებში თავისი სკანდალური გადაწყვეტილებებით, საკუთარ პოლიტიკურ ფიგურას, ოდიოზურობის იარლიყი, ნებსით თუ უნებლიეთ, თავად „გაუჩალიჩა“.**

სასახლის დიდ დარბაზში შეკრებილთ განსაკუთრებულ მოლოდინს სახეზეც უმალ შეატყობდით და დაკვირვებულ თვალს არც ის გამოეპარებოდა, რომ ალბათ სწორედ ამ მოლოდინით გამოწვეული დაძაბულობის მუხტი ჰაერში დენთის სუნივით ტრიალებდა.

ეს ყოველივე პიონერფილმის ხელმძღვანელმა გრიგოლ ჩიგოგიძემაც იგუმანა და დარბაზში მსხდომთათვის მცირედი ინსტრუქტაჟის ჩატარება ცნო მართებულად. მან სასახლის პედაგოგებს და შეკრებილ სტუმრებს, ვინც მერის სტუმრობის შემთხვევაში სიტყვით გამოსვლას დააპირებდა, ურჩია მაქსიმალურად კორექტულნი ყოფილიყვნენ და მოჭარბებული ემოციები, როგორმე მოეთოკათ.

თუმცა ბატონ ჩიგოგიძის გამოსვლაში უფრო მნიშვნელოვანი ის ნაწილი გახლდათ, როცა მან დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას მერთან გუშინდელი შეხვედრის დეტალები მოუყვა.

საქმე იმაშია, რომ ხუთ სექტემბერს გრიგოლ ჩიგოგიძე დრამატურგ ლაშა ბუღაძეს, მომღერალ ნატო მეტონიძესა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტ ანა დოლიძესთან ერთად გიგი უგულავას შეხვდა. ბატონმა ჩიგოგიძემ შეკრებილთ ის არგუმენტები ამცნო, რომლითაც ქალაქის მერს თავისი გადაწყვეტილების გამართლება მოუნდომებია.

გიგი უგულავას ადრინდელი არგუმენტების (რომ თითქოს მოსწავლეთა სასახლე კომუნისტური გადმონაშთია, რომ იგი ოპერისა და ბალეტის თეატრთან ახლოსაა და ა.შ.) უბადრუკობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა და რა გასაკვირია, რომ მერს სასახლის მხარდამჭერთა ზემოთნახსენებ ჯგუფთან შეხვედრისას ასევე უსუსური არგუმენტებისთვის მიუმართავს. ერთ-ერთი მათ შორის ის ყოფილა, რომ პიონერთა სასახლის შენახვა მთავრობას ყოველწლიურად 1 მილიონი ლარი უჯდება და ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ ეს არისო.

აღსანიშნავია, რომ ბატონი მერი სასახლის წარმომადგენლებს სწორედ ამ შეხვედრისას შეპირებია, თქვენთან მოვალ და ჩემს სათქმელს უფრო დაწვრილებით თქვენსავე კედლებში გეტყვითო.

ამ მოლოდინის შესახებ ზემოთ უკვე ვთქვით და იმასაც შევნიშნავთ, რომ სასახლეში შეკრებილთაგან ზოგიერთს თავიდანვე შეჰქონდა ეჭვი ბატონი უგულავას აქ გამოჩენაში. და მავანნი პროგნოზებსაც კი აკეთებდნენ მერის მოსვლა-არმოსვლის შესახებ.

ეს, იქ ბლომად მყოფ მედიის წარმომადგენლებსაც, ბუნებრივია გვაინტერესებდა და ამის შესახებ აზრი სასახლის ერთგულ გულშემატკივარს, ცნობილ პროფესორსა და თბილისის საპატიო მოქალაქეს, ბატონ ნოდარ ლომოურს დავეკითხეთ.

***– ბატონო ნოდარ, რა მომავალს უწინასწარმეტყველებთ მერს, რომელიც ცოდნის ამ ტაძარს კომუნისტურ გადმონაშთს უწოდებს და ბავშვებისთვის მის წართმევას აპირებს?***

– ეს არის აღმაშფოთებელი განცხადება, რომელზეც თუ იურიდიულად არ აგებს პასუხს ბატონი მერი, თავისი შეგნების, მომავლის, თავისი ახლობლების წინაშე მან უნდა აგოს პასუხი, რადგან არაფერი კომუნისტური ამ სასახლეში არ იყო. პირიქით, აქ მუდამ ტრიალებდა ეროვნული სული, რაც კომუნისტებს ძალიან არ მოსწონდათ.

ბატონ უგულავას აქ გამოსაჩენი პირი არა აქვს. თუ მას ნამუსი საერთოდ გააჩნია, დღეს აქ არ უნდა მოვიდეს!

განსაკუთრებით მწვავე და კრიტიკული თავის სიტყვაში, სასახლეში დღეს პირველად გამოჩენილი, ცნობილი ქართველი პოეტი რეზო ამაშუკელი იყო. მან სიტყვით გამოსვლის შემდეგ სასახლის შენობა უმალვე დატოვა, რაც რეზო ამაშუკელმა თავად ასე ახსნა:

– ბატონი უგულავა აქ რომ მოვიდეს, მე ჩემს ემოციებს ვერ დავფარავ და ამიტომაც გაცლას ვამჯობინებ. ეს არის ის წმინდა წყლის პოლიტიკური ავანტიურა!

სამი საათი, რა დროისთვის ქალაქის მერი სასახლეში უნდა მოსულიყო, ამოიწურა და თავდაპირველ ეჭვის გამომთქმელთ ვარაუდი გაუმართლდათ.

„მერს ჩვენთან შეხვედრის შეეშინდა“ – ასეთი იყო იქ შეკრებილთა ერთსულოვანი დასკვნა, რომელიც ნაადრევი გამოდგა, რადგან ქალაქის მერი ნახევარი საათის დაგვიანებით სასახლეს მაინც ესტუმრა და შეკრებილთა წინაშე წარსდგა.

დარბაზში მსხდომებმა მერს სიურპრიზიც მოუმზადეს, როცა იქ შესულ უგულავას წუთიერი დუმილისმაგვარი სიტუაცია დაახვედრეს. მართალია ბატონი მერი სასახლის მკვიდრთა რევერანსების მოლოდინში არც უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმან, რომ დარბაზში მსხდომნი დედაქალაქის პირველ კაცს ფეხზეც არ წამოუდგნენ, მერის სახეზე დაბნეულობა გამოსახა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქალაქის მერს სასახლის მკვიდრთათვის ახალი და იმედისმომცემი არაფერი უთქვამს.

**ჯაბა ხუბუა**

⊙ აზრი

# ისევ გაყალბებას აპირებთ?

## თბილისის საკრებულოსა და მერის მომავალი არჩევნების შესახებ

**როცა სახალხო არჩევნებზე ვიმსჯელებთ, უნდა გამოვიდეთ იმ ფაქტიდან, რომ საქართველოში ჯერ არ არის დამყარებული საბაზრო ეკონომიკური სისტემა, უფრო სწორად, იგი მხოლოდ და მხოლოდ საწყის ეტაპზეა. ამიტომაც არ არის ჩამოყალიბებული საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენები.** შესაბამისად, ნამდვილი პარტიები, რომლებიც უნდა გამოხატავდნენ საზოგადოების გარკვეული სოციალური ფენების ინტერესებს და გააჩნდეთ საზოგადოების განვითარების სტრატეგია, ამჟამად საქართველოში არ არსებობენ. აქედან გამომდინარე, არჩევნების ჩატარება მხოლოდ პარტიული პრინციპით არ შეიძლება შეესაბამებოდეს რეალობას. ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა საარჩევნო ოლქებში ქალაქის საკრებულოს დეპუტატების არჩევნებისას ამომრჩეველმა ხმა მისცეს არა მთლიანად ერთ პარტიას, არამედ კონკრეტულ პიროვნებებს სხვადასხვა პარტიების მიერ წარმოდგენილი სიებიდან (ცხადია, იმდენ პიროვნებას, რამდენი ადგილიც უნდა ჰქონდეს საკრებულოში ამ ოლქის მოსახლეობას). ასეთნაირად არჩეული ქალაქის საკრებულო ამომრჩეველთა უმრავლესობის ინტერესების გამომხატველი იქნება და მას ექნება მორალური და იურიდიული უფლება თვითონ აირჩიოს ქალაქის მერი, რომელიც, მისი მოღვაწეობის დროს ანგარიშვალდებული იქნება საკრებულოს წინაშე. არჩევნების ასეთი წესი არსებითად შეამცირებს არჩევნების გაყალბებას მოქმედი ხელისუფლების მხრიდან. ამავე დროს, ასეთი არჩევნები წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ საქართველოში, რომელიც ამჟამად ჩვენთვის ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს, რათა დავიმკვიდროთ ადგილი მსოფლიოს დემოკრატიულ სახელმწიფოთა სისტემაში.

**თეიმურაზ კოპალეიშვილი,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.**

⊙ განგაში

# რუსეთი აფხაზეთში ფულს ათეთრებს

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ჩვენ თვითონ“-ის თავმჯდომარე პაატა დავითაია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ რომან გოცირიძეს აფხაზეთში რუსული ბანკების მოღვაწეობის დამადასტურებელ მასალებს გადასცემს.**

ამის შესახებ პაატა დავითაიამ ჟურნალისტებს გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განუცხადა. დავითაიას ინფორმაციით, აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედებს რუსული საბანკო გაერთიანება „ზოლოტაია კორონა“, რომელიც ელექტრონულ გადარიცხვებს აფხაზური „გარანტბანკის“ საშუალებით ახორციელებს.

პაატა დავითაიას მტკიცებით, „ზოლოტაია კორონა“ აფხაზეთის ტერიტორიაზე „ყველა სახის პლასტიკური ბარათებით“ გადარიცხვების წარმოებას არც მალავს და ამის შესახებ ინფორმაციას საკუთარ ვებ-გვერდზე აქვეყნებს.

„ამგვარ საბანკო გადარიცხვებში თითქოს საეჭვო არაფერია, რომ არა ერთი გარემოება, რუსული საბანკო სისტემა „ზოლოტაია კორონა“ საბანკო გადარიცხვებს საქართველოს ქალაქებში სოხუმში, გაგრაში, გუდაუთაში, ბიჭვინთაში, ოჩამჩირეში და გალში საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეუთანხმებლად ახდენს“, – აცხადებს დავითაია.

მისივე თქმით, „ზოლოტაია კორონა“ აფხაზეთში თანხების გადარიცხვით ფულის გათეთრებას ახორციელებს. დავითაიას განცხადებით, რუსეთ-აფხაზეთის საბანკო თანამშრომლობა ეწინააღმდეგება, როგორც საერთაშორისო შეთანხმებებს, ასევე დსთ-ს 1996 წლის 19 იანვრის სამიტის დადგენილებას, რომლითაც თანამეგობრობის ქვეყნებს აფხაზეთის ხელისუფლებასთან ეკონომიკური ურთიერთობების წარმოება ეკრძალებათ.

დავითაიას ინფორმაციით, მასალებს, რომლებიც რუსული და აფხაზური ბანკების თანამშრომლობას ადასტურებს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ რომან გოცირიძეს გადასცემს. პაატა დავითაია იმედს გამოთქვამს, რომ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა კვლავაც გააგრძელებს საქმიანობას აფხაზური სეპარატისტული რეჟიმისთვის თანხების შესაზღუდად.

„იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლებამ ამ საკითხში პრინციპულობა გამოიჩინა, იმ რუსულ ბანკებს, რომელთა საშუალებითაც აფხაზეთში თანხების გადარიცხვა, ხორციელდება, ჯარიმების გადახდა მოუწევთ“, – აღნიშნავს დავითაია.

**ინტერპრესნიუსი**

⊙ ინფორმაცია

## პრეზიდენტს აღარ ეკითხებიან?

**გურიის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პოსტზე მუშაობის სურვილი გოჩა შათირიშვილის გარდა, ლანჩხუთის პოლიციის ყოფილმა უფროსმა ირაკლი თავდიშვილმაც გამოთქვა.**

„განსაკუთრებული მოთხოვნები არ მაქვს, რომ, გინდა თუ არა, ეს ადგილი დავიკავო, მაგრამ ხალხი, გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციები ჩემ კანდიდატურას ითხოვენ“, – აღნიშნა თავდიშვილმა.

გავრცელდა ინფორმაცია გურიის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულად საპარლამენტო ფრაქცია „მაჟორიტარების“ აპარატის უფროსის მოადგილის გოჩა შათირიშვილის დანიშვნის შესახებ.

პარლამენტის წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“ კოტე ბერიძე, როგორც თავდიშვილის, ასევე შათირიშვილის კანდიდატურებს უარყოფითად აფასებს.

მისი თქმით, მმართველი პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ თავად დააყენებს ღირსეულ კანდიდატურას.

გავრცელებული ინფორმაციით, ირაკლი თავდიშვილს მხარს უჭერენ ოზურგეთიდან ყოფილი „ბურჯანაძე-დემოკრატები“, ხოლო გოჩა შათირიშვილს აღნიშნულ თანამდებობაზე რეკომენდაცია ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ ბესო ჯუღელმა გაუწია.

## 300 მილიონს რა ხუთი წელი უნდა

**გუშინ ბიზნესმენთა ფედერაციაში ფონდ „ათასწლეულის გამოწვევა – საქართველოს“ (ემ-სი-ჯი) აღმასრულებელმა დირექტორმა ლაშა შანიძემ „ათასწლეულის განვითარების პროგრამის“ პრეზენტაცია გამართა.**

შანიძის განცხადებით, ამერიკის მთავრობამ საქართველოს „ათასწლეულის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში გრანტის სახით 300 მილიონი დოლარი გამოუყო. პროექტის ხელმოწერა ამერიკისა და საქართველოს მთავრობებს შორის სექტემბრის ბოლოს აშშ-ში გაიმართება.

აღნიშნული თანხით ოთხი პროექტი ფინანსდება. მათ შორის – სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გზების რეაბილიტაცია, მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურისა და განვითარების ფონდების შექმნა. 300 მილიონი დოლარის ათვისებას საქართველოს მთავრობა 2005 წლის ბოლოს და 2006 წლის დასაწყისში დაიწყებს და ხუთ წელიწადში დაასრულებს.

შეხვედრაზე ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ ბიზნესმენებს მოუწოდა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროგრამის მიმდინარეობაში.

## პრეტენზიები მარტო მაგათა აქვთ და ჩვენ არა?

**საქართველოში მცხოვრები ეროვნული და რელიგიური უმცირესობები ქართული მედიის მუშაობით უკმაყოფილონი არიან. მათ ჟურნალისტების „ენა“ არ მოსწონთ და მიაჩნიათ, რომ ხშირ შემთხვევაში საგაზეთო თუ სატელევიზიო მასალა შეურაცხმყოფელია.**

სახალხო დამცველის აპარატთან არსებული რელიგიური საბჭოს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებაში ქართულ მედიაში „შუღლის ენა“ გამოიყენება და ეს ხშირ შემთხვევაში სრულიად გაუთვითცნობიერებლად ხდება.

„შუღლის ენას თავისუფლად იყენებენ, როგორც კორესპონდენტები, ასევე მათი რესპონდენტები, რაც ზოგჯერ უნებურად ხდება. ჟურნალისტს შეიძლება სხვა ეროვნების ადამიანისადმი შეურაცხყოფის მიყენების სურვილი სულაც არ ამოძრავებს, მაგრამ რეალურად მართლაც ფიქრობს, რომ ქართველები პირველხარისხოვანი ადამიანები არიან, ვიდრე სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ქურთები და ღია ეთერში ამის თქმა არ ეხამუშება“, – აცხადებს დეკანოზი ბასილ კობახიძე. მისი აზრით, ამ საკითხებთან დაკავშირებით მედიის წარმომადგენლებს სპეციალური სემინარი უნდა ჩაუტარდეთ.

## დეპუტატი ვალერი გელაშვილი თბილისში მალე დაბრუნდება

**„საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრი“, პარლამენტარი ვალერი გელაშვილი საქართველოში სავარაუდოდ სექტემბრის პირველ ნახევარში ჩამოვა და პარლამენტის საშემოდგომო სესიაში მიიღებს მონაწილეობას.**

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გელაშვილის კუთვნილი სამშენებლო ფირმა „ევრას“ მენეჯერმა გოგი მაკასარაშვილმა განუცხადა. მისივე თქმით, გელაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის საგრძნობლად გაუმჯობესდა.

14 ივლისს საქართველოს პარლამენტის წევრზე, ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატ ვალერი გელაშვილზე თავდასხმა მოხდა. რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა გელაშვილს ცეცხლსასროლი იარაღის კონდახით თავის არეში მრავლობითი დაზიანება მიაყენა. ოფიციალური ვერსიით, გელაშვილზე თავდასხმის ფაქტს ყაჩაღობის კვალიფიკაცია მიეცა, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმება დეპუტატი და ინციდენტს პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებს.

თავდასხმიდან რამდენიმე დღეში ვალერი გელაშვილი სამკურნალოდ ლიტვაში გადაიყვანეს. ვილნიუსის ერთ-ერთ კლინიკაში მას ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა.

## საკუთარ თხილსაც აღარ ანებებენ

**გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში გუშინ დილით დაახლოებით 50-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი შევიდა, რომელიც სავარაუდოდ, აფხაზური ძალებისგან შედგება.**

ისინი მოსახლეობისგან ბაჟის სახით გადასახადს კილოგრამ თხილზე 3 რუბლს ითხოვენ. ისინი ამას იმით ხსნიან, რომ მიწის გადასახადისგან თავისუფალი მოსახლეობა ვალდებულია გადაიხადოს თხილის გადასახადი იმ შემთხვევაში, თუ ისინი აფხაზეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ თხილის გატანას დააპირებენ.

შეიარაღებული ჯგუფის წევრები ამჟამადაც სოფელ ოტობაიაში იმყოფებიან. აღსანიშნავია, რომ მათთან ერთად ოტობაიაში იმყოფებოდა გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვალერი ლომიას ძმა.

50-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი სოფელ ოტობაიამდე გალის რაიონის სოფელ გაგიდაში იმყოფებოდა და იგივე მოთხოვნები წაუყენა მოსახლეობას.

**ინტერპრესნიუსი**

⊙ რთვლის წინ

# საწვავი გაძვირდა!

## მინდვრად კი თავთავიანებიც ასაღებია და ვენახიც დასაკრეფია

**წლეულს, მართალია, ამინდს მოსავლისთვის ხელი არ შეუშლია, მაგრამ აგრარულ ბაზრებში დახვავებულ ხილს, ბოსტნეულსა და ბაღჩეულს სიიაფე მაინც არ ეტყობა – ბენზინისა და დიზელის საწვავზე ფასების 20-30 თეთრით მომატებამ, საყოველთაო გაძვირება გამოიწვია. ფასების ზრდის ტენდენცია განსაკუთრებით კვების პროდუქტებზე შეიმჩნევა.**

საწვავის გაძვირებამ, სოფლადაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ბევრს მოსავალი ისევ მინდორში აქვს, რთველიც წინ არის, თავთავიანები და მარცვლოვანი კულტურებიც ასაღებია, ასეთ დროს კი დიზელის საწვავის ფასი იზრდება. რა ქნას გლეხმა? სწორედ აქ სჭირდება მას სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში კი სამინისტროს) დახმარება, თორემ გლეხს ვინ ასწავლის, როდის მოხნას და დაამუშაოს ნიადაგი, როდის და რით შეწამლოს ვენახი, ეს მას არ ეშლება, მაგრამ ყველაფერს დროულად ვერ ახერხებს, რადგანაც საბრუნავი თანხა არ გააჩნია.



სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული ინფორმაციით დღესაც გრძელდება თავთავიანი მარცვლეული კულტურების ალება. 31 აგვისტოსათვის სულ 124 ათასი ჰექტარია აღებული, მათ შორის ხორბალი 90 ათასი ჰექტარზე. წარმოებულია 229 ათასი ტონა მარცვლეული, მათ შორის ხორბალი – 176 ათასი ტონა. ასაღებია 25 ათასი ჰექტარი, აქედან ხორბალი 8 ათას ჰექტარზე.

როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, კომენტარი ზედმეტია.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხორბლის მწარმოებელი ფერმერებისთვის არ გამოუყვია თანხა, ასევე, არც მევენახეებისთვის აპირებს რაიმეს მიცემას. „გლეხებს ჩვენ მივეცით მიწა, ფიქსირებული გადასახადი დავუწესეთ, ამით ყველაფერი გავუკეთეთ. ახლა ადექით და მოსავალი თქვენვე აიღეთ, დიზელი თუ გაძვირდა, რა ვქნათ? საბაზრო ეკონომიკაა, კაცო! ახლა მთელი პარლამენტი ადგეს და კახეთში წავიდეს? კახეთი, კახეთი, რა გახდა ეს კახეთი... – აი, ასე ფიქრობს ზოგიერთი პარლამენტარი და ამას საჯაროდაც აცხადებს. რა არის ეს, გლეხის აგდება თუ საერთოდ ყველაფრის ფეხზე დაკიდება? სადამდე მიგვიყვანს ასეთი „გონიერება?“

მთავრობამ მევენახეებს არც ერთი თეთრი არ გამოუყო, რამაც მათი დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

დღეს საგულდაგულოდ მისი არჩეული რქაწითელი ბაზარში 1,0-1,5 ლარი ღირს, მაგრამ ეს გლეხის ჯიბეს რომ ვერ გაამდიდრებს, ყველამ კარგად იცის.

– წლეულს კარგი რთველი გვექნება, ამინდმა ძალიან შეუწყო ვენახს ხელი, მაგრამ ქარხნები რამდენს და რა თანხით ჩაიბარებენ, ნამდვილად არ ვიცი, – თქვა ერთმა გურჯაანელმა.

– რა ვიცი, ჩემი კაცი ამბობს, მეშინია, სოფელ-სოფელ არ გაგვიხდეს ყურძნის გასაყიდად სიარულიო, თქვა ტიბაანელმა ქალბატონმა თამარმა, – ცოტა გადავარჩიე, სასკოლოდ შვილიშვილების განსაცმელი გვინდა ვიყიდოთ, ამიტომ ჩამოვიტანე ყურძენი, 1 ლარად და 30 თეთრად ვყიდი, მაგრამ ჩამოტანაც რომ გაძვირდა? დღეში 4-5 ლარი აქ ყოფნა გვიჯდება, ჩვენც ხომ ცოდო ვართ, შვილო, ამ ვენახის იმედად ვართ...

მოხუცი ქალბატონი დავაიმედე, სამაგიეროდ, დედაქალაქის მთავრობა დაგეხმარებით, რათა ყურძენი გასაყიდად არ დაგრჩეთ-მეთქი.

მართლაც, როგორც გავარკვიე, თბილისის ბაზრებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე 600-700 ავტომანქანის მოთავსება მოხერხდება. დედაქალაქის პრემიერს თემურ ქურხულს ამ საკითხზე უკვე ჰქონდა მოლაპარაკება ბაზრების ხელმძღვანელებთან. ისინი მზადყოფნას გამოთქვამენ, რომ ყოველგვარი დახმარება გაუწიონ კახელ მევენახეებს წლის მოსავლის რეალიზაციაში.



როგორც თავად მევენახეები ადასტურებენ, დიდი მოსავლის გამო უდედაქალაქოდ ისინი ვერ შეძლებენ ყურძნის რეალიზაციას. თბილისში ჩამოტანილი ყურძენი ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება, რათა ნამდვილი ღვინო დაამზადონ. ... და სამუდამოდ უარი თქვან ფალსიფიკაციაზე.

რამდენიმე დღე და კახეთში რთველი დაიწყება.

**ნაზი იმნაიშვილი**

მემკვიდრეობა

# გლობალიზაცია და აღზრდის ეროვნული ფესვები

## ივანე ჯავახიშვილი და განათლების რეფორმა

**ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს საკაცობრიო განვითარების უნიკალური პროცესი: მსოფლიო სულ უფრო უნიფიცირებული ხდება თავისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებით. ბუნებრივია, რომ ეს პროცესი მეცნიერების, განათლების და აღზრდის სფეროსაც ეხება. მეცნიერებისა და განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებიც სწორედ ამის ასახვაა. გვინდა, არ გვინდა, ჩვენც უნდა ანგარიში გავუწიოთ გლობალიზაციის ობიექტურ პროცესებს...**

მაგრამ ამასთან, გლობალიზაცია სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელი ავიღოთ ეროვნულ ტრადიციებსა და თავისებურებებზე. იაპონია არანაკლებ არის ჩართული მსოფლიოს გლობალურ პროცესებში, მაგრამ არასდროს ღალატობს თავის ეროვნულ თავისებურებებს და აღზრდის ძველ სამუარულ ტრადიციებს. ის კი არა, აღზრდისა და ფიზიკური წრთობის ბევრმა იაპონურმა სახეობამ, განსაკუთრებით ჭიდაობის სფეროში, საერთაშორისო გავრცელება და აღიარებაც ჰპოვა. ასეთი ეროვნული თავისებურებანი, აღზრდის და ფიზიკური წრთობის ტრადიციები, საქართველოსაც აქვს და როგორც ჩანს, ყველაფერს ამას მეტი ყურადღება და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა სჭირდება.

1918 წელს მაშინდელმა ხელისუფლებამ, რომელმაც ასევე განიზრახა კოლონიური მემკვიდრეობით მიღებული განათლების ძველი სისტემის რეფორმირება, ივანე ჯავახიშვილი დანიშნა რეფორმების შემუშავებისა და განხორციელების კომისიის თავმჯდომარედ. ჩვენთვის ბუნებრივია, საინტერესო უნდა იყოს მისი მოსაზრებანი ამ მიმართულებით. ეს მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მაშინაც აქტიურად იდგა ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმის პრობლემა სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველა სფეროში, მათ შორის განათლებისა და სწავლა-აღზრდის სფეროშიც. ყველაზე კარგად კი ეს პრობლემები გააზრებული ჰქონდა ივანე ჯავახიშვილს, რომელსაც, ერთი მხრივ, პირდაპირი კავშირი ჰქონდა განათლების ევროპულ სისტემასთან (მოყოლებული 1897 წლიდან, როცა მან სწავლა დაიწყო პეტერბურგის უნივერსიტეტში), მეორე მხრივ კი, როგორც „ქართველი ერის ისტორიის" ავტორი, შესანიშნავად იცნობდა სწავლა-აღზრდის ეროვნულ ტრადიციებს.

რეფორმების შემუშავების კომისიის პირველსავე სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა წარმოადგინა და ყოველმხრივ დაასაბუთა რეფორმების განხორციელების 5 სახელმძღვანელო პრინციპი, რომლებიც, ჩემი აზრით, დღესაც არ კარგავენ თავიანთ ძალას და მნიშვნელობას:

1. არსებობს განათლების რეფორმების ორი მეთოდი და გზა – საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების საფუძველზე ჩვენი ეროვნული სკოლების მოწყობა და ჩვენი ძველი ეროვნული გამოცდილების აღორძინება და გათანამედროვეობა. მას მიაჩნია, რომ ორივე ეს მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული რეფორმების განხორციელების პროცესში. არც მარტო უცხო ქვეყნების გამოცდილების მექანიკური გადმოღება მოგვცემს სიკეთეს და არც ეროვნული კარჩაკეტილობა – აღნიშნავდა იგი. მათი გასაშუალება, მათ შორის „ბედნიერი მორიგება" არის რეფორმების ოპტიმალური გზა.

2. „ყველა ტიპის სკოლები უნდა ფუნქციონირებდნენ ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპზე და ავტონომიის რეჟიმში... ცენტრალიზმი აფერხებს განათლებისა და მეცნიერების განვითარებას". მას მიაჩნდა, რომ საქართველოს თითოეულ რეგიონს გააჩნია თავისი თავისებურებანი და ეს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ცხოვრების ყველა სფეროში და მათ შორის, განათლებისა და სწავლა-აღზრდის სფეროში. აქ იგი განსაკუთრებულ როლსა და პასუხისმგებლობას აკისრებდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს თითოეულ მხარეში, თემსა და სოფელშიც, რადგან „... მათ ყველაზე უკეთ იციან ადგილობრივი თავისებურებანი და საჭიროებანი".

3. სწავლა-აღზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციად და მიზანმიმართულებად ივანე ჯავახიშვილი სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას განიხილავდა. „ეროვნული სკოლა და განათლება სწორედ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ახალ-ახალი პატრიოტული თაობები აღვუზარდოთ ხალხს და ქვეყანას". სხვანაირად სკოლა ბოლომდე ვერ შეასრულებს თავის ეროვნულ დანიშნულებას.

4. აქედან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სულიერი და ფიზიკური აღზრდის ძველი ქართული ტრადიციების აღდგენას და განვითარებას ეპოქის შესატყვისი ფორმებით. მას მიაჩნდა, რომ ამ მხრივ ყველა სკოლას და ყველა სოფელს უნდა ჰქონდეს თავისი სპეციალური „თავშეყრის ადგილი", როგორც ეს ისტორიულად იყო ძველ საქართველოში, სადაც იკრიბებოდნენ „ერი და ბერი, დიდ-პატარა განურჩევლად წოდებრიობისა". ეს ივანე ჯავახიშვილის აზრით, „ერთიან სოციალურ ორგანიზმად კრავდა ერსა და ქვეყანას".

5. ივანე ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას უთმობს აგრეთვე „საზღვარგარეთის წინ წასული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას და დანერგვას ჩვენს ქვეყანაში". იგი მოითხოვდა, რომ „ერთი უცხო ენა მაინც აუცილებლად უნდა იცოდეს განათლებულმა კაცმა" და ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა კავკასიის მეზობელი ხალხების ენებისა და ისტორიის შესწავლას.

ვფიქრობთ, რომ ივანე ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული განათლებისა და სწავლა-აღზრდის ეს პრინციპები უნდა გავითვალისწინოთ მიმდინარე რეფორმების გატარებისას, რამეთუ მაშინაც საქართველო სახელმწიფოებრივი მშენებლობის გარდამავალ პერიოდში იმყოფებოდა. გარდამავალი პერიოდი კი მეტად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსეა. ამიტომაც თანამედროვე პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელია ჩვენი დიდი წინაპრების გამოცდილების გათვალისწინება.

**რეზო ვაწაძე**

მაგარია!

# თუ ბილბორდი გზაში შემოგეფეთა...

**ისეთი დრო დადგა, ურეკლამოდ არაფრის ყიდვას ფასი არა აქვს. წაღებული გვაქვს ყურები არა მარტო „ოლვეის ულტრისა" და „საუნა ბელტის", არამედ ბინების, ავტომანქანების, საკვები პროდუქტების, ალკოჰოლური სასმელების, ტურისტული მარშრუტების თუ სხვების და სხვების გაუთავებელი პროპაგანდით.**

ყურები, ცხადია, ტელევიზიასა და რადიოს მიაქვს, თვალები კი – პრესასა და ქუჩას. ამ ქუჩაში იმდენი ბილბორდია, იმდენი სტენდია, – კიდეც დაიბნევი და კიდეც გაოცდები: ქართული ლამის ყველაფერი ჩამკვდარია, რეკლამას ვუკეთებთ უცხოურს, – ხორბლის არაყსაც და ბუასილის წამალსაც. შენ ფული გადაიხადე და ისეთ ადგილს შეგირჩევენ, აი, შესაფეთებელს რომ ეძახიან.

მთელს მსოფლიოში (და, ცხადია, საქართველოშიც) სადღეისოდ განსაკუთრებულ პატივშია უალკოჰოლო თუ ალკოჰოლიანი სასმელები. გადაჭედილია მარკეტები, ბაზრობები, ჯიხურები. რეკლამა მაგათაც სჭირდება. „პეპსიმ" და „კოკა კოლამ" ჩვენი ლიმონათიც გადაყლაპეს და ჩვენი „ბორჯომიც". აღარც ქართული ჩაი, აღარც ქართული ლუდი. „ყაზბეგი", მაგალითად, თვეში ერთხელ გვახსენდება; სამაგიეროდ თავში ჩაგვიჭედეს ორი სიტყვა, – „ჩერნიგოვსკოე", მაგარია!"

ისე, თუ შინაურულად ვიტყვით, ჩვენს სასმელებს (ყოველნაირს) სახელიც ჩვენც გავუტეხეთ და იმიჯიც ჩვენ შევულახეთ. ჩაის, მაგალითად, ხელით არ ვკრეფდით, ნამგლითა და წალდით ვჩეხდით; ღვინოს ყურძნისგან კი არ ვაყენებდით, ფხვნილითა და წყლით ვამზადებდით. სულ ახლახან სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა ისე მიუშვა კანალიზაციაში 170 ტონა წითელი ღვინო (ვითომ ხვანჭკარა), რომ წარბი არ შეტოკებია. გაოხრებული იყო, ფალსიფიცირებული, შხამად შესარგები. როდისღა აღიდგენს სახეს ან „ხვანჭკარა", ან „ქინძმარაული", ან „საფერავი", ან „ალექსანდროული"? ალბათ, ამას თაობები დასჭირდება.




მანამდე კი ჩვენს ბაზრობებზე სხვა, უცხო სასმელი გაბატონდება. და მათს რეკლამაში ისევ ქართველი ჩაერთვება. ბილბორდებზე ჯერჯერობით მხოლოდ ქალბატონ ნანი ბრეგვაძეს ვხედავთ თავის ვენახებში დაწურული ღვინის ჭიქით, თორემ სხვა ცნობილი სახეები უფრო უცხოურ პროდუქციას აქებენ და ადიდებენ. განსაკუთრებით სახელს უწევენ რუსულ და უკრაინულ არაყს, რომელთა რეკლამები სხვა რეკლამებს, ბარე ათჯერ მაინც აჭარბებს.



მესმის, – სასმელი მაინც სასმელია. მარტო რეკლამები კი არა, მათ ეძლევნება საზეიმო შეკრებები, ფესტივალები, სპარტაკიადები. ისიც მესმის, – რეკლამას ფული მოაქვს ქალაქის ბიუჯეტისთვის, თვით რეკლამის გამწევი პიროვნებისთვის. ბილბორდებზე ნახავთ ჩვენს სახელოვან მსახიობებს, მომღერლებს, სპორტსმენებს... ანა კურნიკოვამ ასჯერ მეტი იშოვა რეკლამით, ვიდრე ჩოგბურთით. მის კვალს დაადგა მარია შარაპოვაც. მილიონები ვის არ უნდა. მე, პირადად, არც ერთი ქართველი ქალი არ მემეტება ბილბორდზე „მისაკარტოჩკებლად" და ღვინისა და არყის რეკლამის გასაწევად, მით უმეტეს უცხოურისა. თუმცა, მოსაზრება ერთია, ცხოვრება კი – მეორეა!

და მაინც, – მინდა ჩვენმა ქალებმა ანგარიში გაუწიონ ჩვენს ტრადიციას. ჯერ ერთი, ნუ გაუწევენ რეკლამას ქალისთვის შეუფერებელ პროდუქციას (კოსმეტიკას, კი ბატონო, მაგრამ – არაყს?). და მეორეც, უცხოელებივით ნუ ანაცვალებენ რეკლამას თავიანთ კდემამოსილებას (ჩაცმულ-დახურული, კიდევ ჰო, მაგრამ – შიშველ-ტიტველი?).

ბოლოს ერთი დეტალიც: როცა ალკოჰოლურ სასმელს რეკლამას უწევს ცნობილი მსახიობი ან ცნობილი სპორტსმენი ქალი, ძალაუნებურად იფიქრებს ადამიანი, რომ ეს სასმელი აუცილებლად უნდა იგემონ ქალებმაც. ჯორჯ ბუშის ქალიშვილები, მაგალითად, წლეულს ორჯერ წააბრძანეს პოლიციაში ლუდის თაყვანისცემის გამო. რუსეთის მთელი ახალგაზრდობა (სტუდენტობაც და მოსწავლეობაც) სიამოვნებით წრუპავს ლუდს. ღმერთმანი, ქართველ გოგონებს არ ვუსურვებ მათ მიბაძონ.

თუმცა, მე ვინ მეკითხება. ცხოვრებაც ისეთი მოდის და თინეიჯერობაც, რომ მათ ალვირს ვერ ამოსდებ. თანაც სიტყვით. მათრახის დრო კი წავიდა!

**ბონდო გულიაშვილი**

ინფორმაცია

### „ზვეზდა" საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაშია

**ამიერკავკასიაში** რუსეთის სამხედრო დაჯგუფების კუთვნილი ყოფილი სამხედრო ობიექტი „ზვეზდა" საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრებაში გადავიდა.

ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. თავდაცვის უწყების ცნობით, ობიექტის გადაცემა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი განცხადების საფუძველზე მოხდა, რომელსაც ხელი 2005 წლის 30 მაისს მოეწერა.

დაცული სამეთაურო პუნქტი „ზვეზდა" მცხეთაში მდებარეობს. სამხედრო ობიექტზე უკვე განლაგდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფი, რომელიც ობიექტის დაცვას უზრუნველყოფს.

„ზვეზდას" კომპლექსში კიდევ ორი საცხოვრებელი კორპუსია, სადაც რუსი სამხედრო მოსამსახურეები ოჯახებით ცხოვრობდნენ. მხარეების შეთანხმებით, ისინი აქ დროებით, რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესის დასრულებამდე დარჩებიან.

### ედპ-ის თავმჯდომარე აშშ-ის საელჩოს მრჩეველს შეხვდა

**„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის"** თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა გუშინ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების მრჩეველს დებორა მილერს შეხვდა.

როგორც ინტერპრესნიუსს პარტიის პრესსამსახურში განუცხადეს, საუბრის თემა ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ძლიერი ოპოზიციის არსებობის აუცილებლობა იყო.

შეხვედრა, რომელიც ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა, დახურულ კარს მიღმა ჩატარდა.

### რუსთაველის თეატრი სეზონს „კავკასიური ცარცის წრით" გახსნის

**თბილისის** შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი სეზონს 28 ოქტომბერს სპექტაკლ „კავკასიური ცარცის წრით" გახსნის.

როგორც ინტერპრესნიუსს თეატრის დირექტორმა გია თევზაძემ განუცხადა, სარესტავრაციო სამუშაოების მიმდინარეობის გამო თეატრი სამი წლის განმავლობაში იყო დახურული. თეატრში სრულიად განახლდა სცენა, დარბაზები და საგრიმიოროები.



თევზაძის თქმით, სეზონის გახსნის შემდეგ თეატრი მაყურებელს ერთდროულად ორი სპექტაკლის „სტიქსი" და „პატარა 25 პიესის" პრემიერას შესთავაზებს. სპექტაკლები რეჟისორ რობერტ სტურუას მიერ არის დადგმული და საპრემიერო ჩვენებები 29 და 30 ოქტომბერს გაიმართება. „სტიქსი" გია ყანჩელის მუსიკის მიხედვით დაიდგა.

რუსთაველის თეატრში სარესტავრაციო სამუშაოები 1996 წლიდან მიმდინარეობდა, თუმცა, თეატრი 2002 წელს დაიხურა.

### შიდსი კისრისტეხით მოდის

**საქართველოში** აივ/ინფექცია შიდსთან საბრძოლველად, ახალი სტრატეგიის შემუშავებაზე მსჯელობდნენ სასტუმრო „სიმპათიაში" გუშინ გამართულ კონფერენციაზე.

შეხვედრის თემას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აივ/ინფექციის მკურნალობისა და მოვლის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება – პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა წარმოადგენდა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმოს) ევროპის რეგიონული ბიუროს, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, აივ/ინფექცია შიდსის პროგრამის ეროვნული კოორდინატორები, პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები. დღეისათვის საქართველოში აივ/ინფიცირებულთა მკურნალობა უფასოა. იგი საერთაშორისო ორგანიზაცია „გლობალ ფონდის" მიერ აივ/ინფექცია შიდსის, მალარიისა და ტუბერკულოზის პროგრამის ფარგლებში ფინანსდება.

### ქართველი მოჭიდავეების საქმე სასამართლოს გადაეცა

**ქართული** ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის ალექსი დავითაშვილისა და ძიუდოისტთა ნაკრების ყოფილი წევრის გიორგი რევაზიშვილის საქმე განხილვისთვის სასამართლოს გადაეცა.

როგორც ინტერპრესნიუსს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში განუცხადეს, ჯერჯერობით საქმე არსებითი განხილვისთვის მოსამართლეს არ მიუღია.

შს სამინისტროს ინფორმაციით, დავითაშვილსა და რევაზიშვილს ბრალი თანხის გამოძალვაში ედებათ. ბრალდების თანახმად, სპორტსმენები საბერძნეთის მოქალაქე გივი იორდანოვს 8 000 დოლარს სძალავდნენ.

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრი, საქართველოს შეიდგზის ფალავანი, ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ალექსი დავითაშვილი და საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ყოფილი წევრი გიორგი რევაზიშვილი ამ დროისთვის თბილისის №1 საპყრობილეში იმყოფებიან.

**ინტერპრესნიუსი**

ბაზარი

# ვინ ყიდის მკვდარ დედალს?

## ნდობის დაკარგვა ადვილია, მოპოვება კი – ძნელი

**რამდენიმე დღის წინათ ცენტრალური სუპერმარკეტის შესასვლელთან ასეთი ინციდენტის მოწმე გავხდი: ერთი ქალბატონი ქათმის გამყიდველს ეჩხუბებოდა. მიზეზი კი წინა დღით ნაყიდი ქათამი იყო, რომელიც მოხარშვის შემდეგ გაშავებულიყო. ნერვებაშლილმა ქალმა ეს ქათამი ლამის სახეში ჩაარტყა გამყიდველს.**



ამან ქათმის გამყიდველს მოთმინება დააკარგვინა და ისიც იყო სამაგიეროს უნდა გადაეხადა, რომ საქმეში სხვა გამყიდველებიც ჩაერივნენ და ინციდენტიც ამოიწურა.

როგორც გავარკვიე, თბილისელ პედაგოგს მარგო მსუქნიშვილს წინა დღით ქათმის ყიდვა კი სურდა, მაგრამ ფული დაკლებია. უკვე ბაზრიდან გადიოდა, რომ სწორედ ამ გამყიდველს მოზრდილი დედალი იაფად მიუჩეჩებია ხელში.

– წარმოგიდგენიათ, უარს ამბობს, მე არ ვიყავიო, ნამდვილად ეგ არის, ვიცანი.

– მე ასეთ შავ ქათამს როგორ გავყიდდიო, უსირცხვილოდ ცრუობს, ვიშვიშებდა ჩემი თანამგზავრი. მოდი და ახლა გაიგე, ვინ მტყუანია და ვინ მართალი. ერთიც კია, კვების პროდუქტი, მით უმეტეს, ხორცი, ქათამი აუცილებლად დახლზე უნდა ვიყიდოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერს გავაწყობთ.

ბოლოს „შავი" დედალი სანაგვეში გადაუძახეს.

ის იყო, გზის გაგრძელება დავაპირე, ერთმა ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ასევე დაკლულ ქათმებს ყიდდა, ჩუმად მითხრა: – მე ვიცი, ეს ქათამი რატომ იყო შავი.

– საიდან იცი-მეთქი, – ვკითხე.

– ფაბრიკებში როცა დაეხოცებათ, ან იციან, რომ მაინც მოკვდება, კლავენ და 50 თეთრად, ან ერთ ლარად ყიდიან. როცა მკვდარს კლავენ, მოხარშვის შემდეგ ყოველთვის შავდება ხოლმე, ზოგიერთი უსინდისო ადამიანი ყიდულობს ამ ქათმებს, რაღაც საღებავს უსვამს, მერე კი ყიდის ცოტა იაფად. აბა, კარგ დედალს 3 ლარად ვინ გაყიდის?

ღმერთო, დიდებულო, – ვფიქრობ ჩემთვის, რა უსულგულობაა, ფულმა გონება ასე როგორ უნდა დაუბნელოს ადამიანს, ავადმყოფი, ან უსულადოდ მკვდარი ქათამი გაყიდოს, დავინტერესდი და ჩემს ფარულ ინფორმატორს ჩავეკითხე, მაინც რომელ ფაბრიკაში აკეთებენ ასე, ვერ მეტყვი? ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. – ყველგან ასეაო, – იმეორებდა.

უხარისხო და ფალსიფიცირებული პროდუქციისგან რომ ჩვენი ბაზარი მთლად დაცული არ არის, ამის მაგალითად ეს შემთხვევაც გამოდგება, მაგრამ დამნაშავე ისევ ჩვენს შორის უნდა ვეძიოთ. არ უნდა ვიყიდოთ საკვები პროდუქტი დახლის გარეთ და შეუმოწმებელი. როგორც ბაზრის ადმინისტრაციაში მითხრეს დახლზე გასაყიდად გამოტანილი თითოეული ქათამი შემოწმებულია და მყიდველს შეუძლია უშიშრად შეიძინოს იგი. სხვა შემთხვევაში ის პასუხს არ აგებს.

– დაკლულ ქათამს არასოდეს ვყიდულობ – მითხრა ერთმა სანდომიანმა ქალბატონმა, რომელიც მკვდარი ქათმის გამო ჩემზე მეტად იყო აღშფოთებული. – კარგიც რომ იყოს, მაინც ცუდი მგონია და იცით, რატომ? ნდობა დავკარგე, ჩემო ბატონო, ხომ ცნობილია, ნდობის დაკარგვა ადვილია, მოპოვება კი ძნელიო. ვინც თქვა, მართალი თქვა. რა ქნას ხალხმა, ძალიან უჭირს, ამიტომ ყველაფერზე მიდის, ოღონდ ორიოდე გროში დაზოგოს, ოჯახი, შვილები შეინახოს, ამდენი უმუშევარი გაგონილა? ვინც ცოტა ანგარიში იცის, ვაჭრობა დაიწყო, ყიდულობენ და ყიდიან, ბაზარში გლეხი სულ აღარ ჩანს, დღითი დღე ძვირდება ცხოვრება, აქ კაკლის ჩხრიალის მოსასმენად, დიდი ხანია, აღარავინ დადის. **არა და არ დაადგა საშველი ქვეყნის დალაგებას, ხან რა გვიფორიაქებს სულს და ხან რა.**

მართალი ხართ-მეთქი, ვუპასუხე ჩემს მოსაუბრეს.

ბაზარი კი დუღს, შფოთავს, როგორც ვატყობ, დღეს გამყიდველიცა და მყიდველიც ორივე უკმაყოფილოა, რადგან საბაზრო ეკონომიკამ თავისი ბრჭყალები ორივეს მაგრად მოუჭირა. გაძვირდა თუ არა ბენზინი და დიზელის საწვავი, იმავე დღეს აიწია ბაზრებში ფასი, აქაოდა, ძვირი გვიჯდებაო ქალაქში ჩამოტანაო. რა ქნას 28 ლარიანმა პენსიონერმა? იქნებ ვინმემ ასწავლოს ერთი თვე როგორ გაანაწილოს ეს თანხა? დღეს ასეა, რა იქნება ხვალ, პასუხი არავინ იცის.

**ნაზი იმნაიშვილი**

**სოფლის მეურნეობის პროდუქტების საშუალო სარეალიზაციო ფასი (ლარებში) (კილოგრამობით) ცენტრალურ სუპერმარკეტში 2005 წლის 6 სექტემბრისთვის**

| | |
|---|---|
| ხორცი საქონლის | – 5.50-6; |
| ხორცი ღორის | – 7-9; |
| ხორცი ცხვრის | – 3-5; |
| ქათამი სოფლის | – 9-12; |
| ქათამი ფაბრიკის | – 3-15; |
| ყველი იმერული | – 4.50-5; |
| ყველი თუშური | – 13-15; |
| სულუგუნი | – 5-6; |
| კვერცხი სოფლის | – 0,18-0,20; |
| კვერცხი ფაბრიკის | – 0,16-0,18; |
| ნიგოზი | – 16-20; |
| კარტოფილი | – 0,50-0,80; |
| კომბოსტო | – 0,50-0,70; |
| ჭარხალი | – 0,80-1; |
| სტაფილო | – 1-1,50; |
| ხახვი (თავიანი) | – 0,60-1; |
| ვაშლი | – 0,50-1; |
| მსხალი | – 0,80-1,20; |
| ატამი | – 0,80-1; |
| ქლიავი | – 0,80-1.50; |
| ყურძენი | – 1-1,50; |
| ბადრიჯანი | – 0,40-0,70 |
| საზამთრო | – 0,20; |
| ნესვი | – 0,80-1. |

ახალი ტექნოლოგიები

# სხვას რომ არ შევყუროთ ხელებში

## გამოვიყენოთ ბუნებრივი ქვების ადგილობრივი ნედლეული

**ჩვენი ქვეყნის ბაზარზე მაღალხარისხოვანი მოსაპირკეთებელი ქვები მხოლოდ იმპორტულია, არადა, საქართველო მდიდარია ამ ნედლეულით, თუმცა, მისი დამუშავებაა მთავარი.** ვინ იცის, ჩვენს ეკონომიკას როგორ წაადგებოდა ძვირადღირებული გრანიტის, მარმარილოს დამუშავებითა და მისი ექსპორტით ქვეყანაში შემოსული ინვესტიციები. სამწუხაროდ, ტექნიკურ-ტექნოლოგიური მიზეზების გამო, ეს პოტენციალი გამოყენებული არ არის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიის გამგის ნიკა ლოლაძის განმარტებით, ადგილობრივი ნედლეულისგან საერთაშორისო დონის კონკურენტუნარიანი ნაკეთობის დასამზადებლად აუცილებელია მაღალი მარკების ხელოვნური ალმასი, ალმასური ინსტრუმენტი, ბუნებრივი ქვების ალმასური დამუშავების მაღალეფექტიანი ტექნოლოგია. ნიკა ლოლაძემ აღნიშნა, რომ მათ მიერ ეს უკვე მრავალწლიანი სამეცნიერო კვლევის შედეგად არის შემუშავებული, ტექნიკურად ათვისებულია მაღალი ხარისხის ალმასური მონოკრისტალების სინთეზი და მათ ბაზაზე მაღალეფექტური ტექნოლოგია.

კომპიუტერული მოდელირებით გათვლილია ალმასური დამუშავების მაღალეფექტური ტექნოლოგია, ალმასური დამუშავების ოპტიმალური კინემატიკური სქემა და ინსტრუმენტის შესაბამისი სპეციალური გეომეტრია. მიღებული შედეგების გამოყენება საშუალებას იძლევა, რომ საერთაშორისო სტანდარტების დონეზე დამუშავდეს საბოლოო ნაკეთობა, ზუსტად იქნეს დაცული ნაკეთობის ზომების სიზუსტე და პროდუქციის ზედაპირი განსაკუთრებული მაღალი ხარისხით გამოირჩეოდეს. გახასხასებული და კარგად გაპრიალებული პროდუქცია მომხმარებელს უთუოდ დააინტერესებს.

ქართული მეთოდით ბუნებრივი ქვების ხეხვა-პოლირების ოპერაციის მწარმოებლობა მსოფლიო პრაქტიკაში არსებულ ტექნოლოგიებთან შედარებით, არანაკლებ 70-80 პროცენტით, ხოლო ინსტრუმენტის მედეგობა შესაბამისად 40-50 პროცენტით იზრდება. ბიზნესმენი, რომელიც ამ საქმეში ფულს ჩადებს, სოლიდურ უკუგებას მიიღებს. მალე ამით შემცირდება იმპორტი და მოსახლეობა ადგილობრივ პროდუქციას შეიძენს.

**ლალი ქინქლაძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ბადრი, პირველი ოლიგარქი

**დასავლეთში, ალბათ, ბევრს არ სმენია ბადრი პატარკაციშვილის შესახებ. მაგრამ ეს ადამიანი, რომელსაც მოუწია დაეტოვებინა რუსეთი და გადასულიყო საქართველოში, იყო მამოძრავებელი ძალა ზოგიერთი ყველაზე წარმატებული რუსული კომპანიის შექმნის დროს. ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილ ბაღს უკავია დაახლოებით 10 აკრი ფართობი და მდებარეობს ქალაქის შუაგულში – შემაღლებულ ადგილზე, საიდანაც იშლება მტკვრის ხედი.**

მისი ოფისი განლაგებულია საბჭოური დროის ყოფილი ქორწინების სასახლის შენობაში. მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ პატარკაციშვილი – უფრო მეტად ცნობილია როგორც უბრალოდ ბადრი – ცხოვრობს მჩქეფარე ცხოვრებით და აქვს საინტერესო ბიოგრაფია, ეს მულტიმილიარდერი-ბიზნესმენი მაინც უცნობია დასავლეთისთვის. ბადრი ის ადამიანია, რომელიც დგას რუსეთში სადღეისოდ მოქმედი მრავალი წარმატებული კომპანიის უკან. იგი იყო ისეთი კომპანიების ერთ-ერთი პარტნიორი-დამფუძნებელი, როგორიც არის „სიბნეფტი" (ნავთობის კომპანია, რომელსაც სადღეისოდ აკონტროლებს რუსი მილიარდერი რომან აბრამოვიჩი), „რუსალი" (ალუმინის გიგანტი), „ავტოვაზი" (რუსეთში ავტომობილების უდიდესი მწარმოებელი), „აეროფლოტი" (პრივატიზებული ავიაკომპანია), რუსეთის ეროვნული ტელეარხები OPT და TB-6, აგრეთვე, მრავალი სხვა.

ელცინის მმართველობის წლებში, როცა რუსეთი კომუნისტური გუნდური ეკონომიკიდან კაპიტალისტურ დემოკრატიაზე გადავიდა, ბადრი გახდა ის ადამიანი, რომელმაც პოლიტიკური იდეები ბიზნესის რეალიებად გარდაქმნა. იგი აღიარებს, რომ ასევე არის საეჭვო ფიგურა წინანდელი ეპოქიდან, როცა პრივატიზაციის შედეგად წარმოიქმნა უმდიდრესი ოლიგარქების ახალი კლასი.

იგი 2001 წელს გახდა იძულებული, დაეტოვებინა რუსეთი, როცა პრეზიდენტმა პუტინმა გადაუხვია 1990-იანი წლების დემოკრატიული რეფორმების გზიდან. ბადრი ახლა მშობლიურ საქართველოში იმყოფება, მაგრამ აქაც უსაქმოდ არ ზის: თბილისში დაბრუნების შემდეგ იგი გახდა ამ ქვეყანაში ყველაზე მდიდარი და წარმატებული ბიზნესმენი. პატარკაციშვილი კვლავ დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს იმ მოვლენებს, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ვითარდება.

ჩვენი საუბრის დროს მან მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის ნავთობის გიგანტის „იუკოსის" ხელმძღვანელი ლეონიდ ნევზლინი 10 მკვლელობაში დაადანაშაულეს. ბადრის ირონიულად ეღიმება: „ათი! რატომ ათი? ეს ხომ სიგიჟეა. ყოველივე ეს ისე აშკარადაა შეთითხნილი, თითქოს პროკურატურას სურდეს, მთელმა მსოფლიომ იცოდეს, რომ ეს სიყალბეა".

იგი ინვესტიციებს აბანდებს სხვადასხვა ქვეყნებში და დიდ თანხებს სწირავს ისრაელის საქველმოქმედო პროექტებში. „მე გულთბილად მიმიღეს საქართველოში, – თქვა მან. – ფულს სხვა ქვეყნებში ვშოულობდი და არ ვმონაწილეობდი ქურდობასა და მაროდიორობაში. შემიძლია, ხელი შევუწყო გარდაქმნებს ქვეყნის ეკონომიკაში".

რუსეთის მხარის მიერ გამოთქმული ბრალდება თაღლითობისა და ეკონომიკური დანაშაულობების შესახებ, რომლებიც მოხდა „აეროფლოტის" კომპანიაში, ვერ დადასტურდა, თანაც, ამ ავიაკომპანიაში ბადრის პარტნიორი ნიკოლოზ გლუშკოვი, ამ ცოტა ხნის წინათ, გაათავისუფლეს საპყრობილედან და მას საჯაროდ მოუხადეს ბოდიში. ბადრი იცავს თავის მიღწევებს ბიზნესში: „ანატოლი ჩუბაისი (რუსეთის ეკონომიკური რეფორმების და საპრივატიზაციო პროგრამების არქიტექტორი) პასუხს აგებდა იმისთვის, რომ ძველი კომუნისტური სისტემა გახადა კაპიტალისტური, – გვითხრა ბადრიმ. – მაგრამ ამ პროცესის დროს ისინი მხოლოდ სწავლობდნენ. არსებობს დაწერილი თუ და-



უწერელი წესები. ეს იყო გარდამავალი პერიოდი და აქ არაფერი იყო ისეთი, რის გამოც, შეიძლება შეგრცხვენოდა კაცს". რა აერთიანებს ბადრის პუტინის ავტოკრატიული რეჟიმის შედეგად ქვეყნიდან განდევნილ სხვა პირებთან? ეს არის დამოუკიდებლობა, რომლის ატანაც არ შეუძლია რუსეთის პრეზიდენტს.

ბადრი არის ერთ-ერთი ბიზნესმენთა იმ ჯგუფიდან, რომლებიც მიზანში ამოიღო ხელისუფლებამ. თანაც, ბადრის დევნის ნამდვილი მიზეზი გახდა არა ეკონომიკური დანაშაულობები, როგორც ამას კრემლი აცხადებს, არამედ ის ფაქტი, რომ იგი არის რუსეთში არასახელმწიფო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აუცილებელი არსებობისა და დემოკრატიის თავგამოდებული მომხრე. ბიზნესმენთა ამ ჯგუფში შედის მიხეილ ხოდორკოვსკიც, „იუკოსის" – რუსეთში ნავთობის ყველაზე წარმატებული კომპანიის დამფუძნებელი, რომელსაც მიუსაჯეს 9 წლით პატიმრობა თაღლითობისა და სხვისი ქონების დატაცების ბრალდებით, და რომელმაც საპყრობილეში შიმშილობა გამოაცხადა.

ხელისუფლების მხრიდან ასეთი დევნა უსამართლოა, მიაჩნია ბადრის. ხოდორკოვსკი ეწეოდა ბიზნესს ელცინის დროს ზუსტად ისე, როგორც სხვა ოლიგარქები – მათ შორის მისი ყოფილი პროტეჟე აბრამოვიჩიც, რომელიც ჯერ კიდევ შედის კრემლის ფავორიტთა რიცხვში. „მე დავაარსე და ვმართავდი ლეგალურ კომპანიებს, რომლებიც ახლა მსოფლიო ლიდერები არიან, – თქვა მან. – მე მივეცი სტარტი მრავალ ბიზნეს-ლიდერს".

ახლა ბევრს მიაჩნია უკანონოდ ის, რომ პუტინის სახელმწიფო ოლიგარქები ხელში იგდებენ „იუკოსის" მსგავსი ნავთობის კომპანიებისა და სხვათა აქტივებს. შარშან რუსეთის მთავრობამ გამართა „იუკოსის" მთავარი საწარმოო ქვეგანყოფილების გასაყიდი აუქციონი, განაცხადა, რომ ამ კომპანიას სახელმწიფოსი მართებდა 28 მილიარდი დოლარი გადაუხდელი გადასახადების სახით. ეს იერიში ბევრმა მიიჩნია სასტიკ შურისძიებად ხოდორკოვსკის პოლიტიკური ამბიციების გამო. რაც შეეხება ბადრის, მართალია, იგი პუტინის მეგობარი არ გახლავთ, მაგრამ რუსეთის მთავრობა ასე აქტიურად არ სდევნის მას.

უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლები თვალყურს ადევნებენ მის სასახლეს, მაგრამ ბადრი კარგად არის დაცული, როგორც პირადი დაცვის წევრების, ისე საქართველოს მთავრობის უშიშროების ძალების მიერ. ამ ადამიანს ისიც კი სწამს, რომ დადგება დრო, როცა იგი შეძლებს დიალოგის გამართვას პუტინთან. „მე დასასვენებლად ვიმყოფებოდი ესპანეთში და უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა პუტინს ჰკითხეს, თუ შეეძლოთ მაშინ ჩემი დაკავება. პრეზიდენტმა იკითხა, მარტო ვისვენებდი მე თუ ოჯახთან ერთად, როცა უპასუხეს, რომ ჩემთან ერთად ოჯახის წევრებიც იყვნენ, პუტინმა თქვა: „თავი დაანებეთ, დაე, კარგად დაისვენოს".

როგორ იწყებდა ბადრი თავის ბიზნესს? ისევე, როგორც ხოდორკოვსკი, ისიც კომკავშირელი იყო და თავისი აქტიურობის წყალობით გახდა ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი. ბიზნესს ხელი მიჰყო 1980-იანი წლების გარდაქმნის დროს. ბადრიმ მიმართა თავის მეგობარს, რუსეთში უდიდეს ავტომობილების მწარმოებელ „ავტოვაზში" და უთხრა, რომ სურდა გამხდარიყო „ავტოვაზის" წარმომადგენელი კავკასიაში. ეს სამუშაო მან მიიღო იმის მიუხედავადაც კი, რომ როგორც თვითონ აღიარებდა, არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაეყიდა ავტომობილები.

როცა კომუნისტურმა ეკონომიკამ ნაწილ-ნაწილ დაიწყო დაშლა, ბადრის ტელეფონით უკავშირდებოდნენ თვით საკავშირო პოლიტბიუროს წევრებიც კი, რომლებსაც ძალზე სჭირდებოდათ თავიანთი ავტომობილების იმ დროისთვის დეფიციტური სამარაგო ნაწილები. ბადრი ასრულებდა მათ თხოვნებს და ასე ნელ-ნელა დაამყარა ურთიერთობა, რომელიც მთელი 90-იანი წლების მანძილზე გრძელდებოდა. სწორედ მაშინ გაიცნო მან ბორის ბერეზოვსკი, რომელიც იმ დროისთვის იყო 33 წლის მოსკოველი მეცნიერი და მეწარმე და ეძებდა ფულს ბიზნესის დასაწყებად.

ბერეზოვსკი და მისი ცოლი საქართველოში გადაფრინდნენ პატარკაციშვილთან შესახვედრად და მაშინ დამყარდა მათ შორის მეგობრობა, რომელმაც შეცვალა რუსეთი და წარმოქმნა კომპანია, სადღეისოდ ერთ-ერთი ლიდერი რომ არის ალუმინის, საავტომობილო მრეწველობისა და ავიაგადაზიდვათა მსოფლიო ბაზარზე. 90-იან წლებში ბადრიმ და ბერეზოვსკიმ თავიანთ პარტნიორებთან ერთად დააარსეს „რუსული ალუმინის" კომპანია – რუსეთში უდიდესი ალუმინის კომპანია, რომელიც ასევე ერთ-ერთი უმსხვილესია მსოფლიო მასშტაბითაც (დღეს იგი ცნობილია „რუსალის" სახელით).

მიღებული მოგებით მათ დააფუძნეს „სიბნეფტი", რუსეთში უდიდესი ნავთობის კერძო კომპანია, რომელიც დღეს 15,6 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ბერეზოვსკი და პატარკაციშვილი თანასწორუფლებიანი პარტნიორები იყვნენ ოლეგ დერიპასკასთან და რომან აბრამოვიჩთან ერთად „რუსალსა" და „სიბნეფტში". მათი მეორე ბიზნესი უკავშირდებოდა OPT-ს, იმ დროისთვის რუსეთში უმსხვილეს კერძო ტელეარხს, და კომპანია „აეროფლოტს", მისი პრივატიზაციის შემდეგ. ახლა ყველა ამ კომპანიას დაეპატრონენ პუტინის მოკავშირეები ბიზნესსა და პოლიტიკაში.

ივლისში გამოჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბერეზოვსკის, რომელსაც პოლიტიკური თავშესაფარი მისცა დიდმა ბრიტანეთმა, დაგეგმილი აქვს ლონდონის სასამართლოს მეშვეობით მიაღწიოს აბრამოვიჩისგან ზარალის ანაზღაურებას. აბრამოვიჩს ბრალად ედება ის, რომ მან კრემლის მითითებით აიძულა ბერეზოვსკი და ბადრი, თითქმის ჩალის ფასად გაეყიდათ თავიანთი აქტივები „რუსალსა" და „სიბნეფტში".

აბრამოვიჩის პრესმდივანი აცხადებს, რომ მილიარდერი უარყოფს ამ ბრალდებებს და დაიცავს თავის სიმართლეს ნებისმიერ სასამართლოში. ბადრის, რომელსაც წელს 50 წელი შეუსრულდება, დიდი გავლენა აქვს რუსეთში და საზღვარგარეთ. იგი, როგორც ედუარდ შევარდნაძის, ისე მიხეილ სააკაშვილის დიდი ყურადღებით სარგებლობს. ბადრი ცდილობს, გააუმჯობესოს საქართველოს ურთიერთობა დიდ სახელმწიფოებთან, რომლებიც მისი პატარა ქვეყნით არიან დაინტერესებული. როცა ბადრისთან ვსაუბრობდით, მას სადილად სტუმრად ჰყავდა მიწვეული შეერთებული შტატების ელჩი. ბადრი ასევე ცდილობს საქართველოში არსებული სიტუაციის შეცვლას. მან შეისყიდა თბილისის საფეხბურთო კლუბი, დააფინანსა საქართველოს დედაქალაქში ახალი სავაჭრო ცენტრის მშენებლობა, აბანდებს ინვესტიციებს შავი ზღვის სანაპიროზე კურორტის კეთილმოწყობაში, აგრეთვე, ხელმძღვანელობს „იმედი" მედია-ჯგუფს.

უახლოესი ექვსი წლის განმავლობაში იგი აპირებს მილიარდი დოლარის დაბანდებას საქართველოს უდიდეს ნავსადგურში. გარდა ამისა, ბადრი პატარკაციშვილი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეც არის.

**საიმონ ბელი,**
**„დეილი ტელეგრაფი"**
**(დიდი ბრიტანეთი)**

# 10 შტატში შემოღებულია საგანგებო მდგომარეობა

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში სტიქიის ზონაში მეორედ მოგზაურობს.**

ქარიშხლის შედეგად დაზარალებულთათვის დროებითი თავშესაფრის მონახულებისას, ბუშმა განაცხადა, რომ მთელმა ამერიკელმა ხალხმა გამოთქვა დაზარალებულთათვის დახმარების გაწევის მზადყოფნა.

ამერიკის 10 შტატში შემოღებულია საგანგებო მდგომარეობა, სამი შტატი კი უბედურების ზონებადაა გამოცხადებული. ასეთი ღონისძიება იძლევა იმის საშუალებას, რომ დაზარალებულთა დასახმარებლად გადარიცხონ სახსრები ფედერალური ფონდებიდან.

პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ოჯახებს, რომლებმაც შეიკედლეს ლტოლვილები, და დიდი შეფასება მისცა იმ დახმარებას, რომელსაც დაზარალებულებს უწევენ ეკლესიები, სინაგოგები და მეჩეთები.

შეერთებულ შტატებში სულ უფრო ძლიერდება ხელისუფლების მისამართით გამოთქმული კრიტიკა სტიქიურ უბედურებაზე მისი არასათანადოდ სწრაფი რეაგირების გამო. ახლა თეთრი სახლი ცდილობს, დაარწმუნოს ადამიანები, რომ ამაში პრეზიდენტ ბუშს არ ეკისრება პასუხისმგებლობა. და მაინც, შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა და მისმა მეუღლემ, სენატორმა ჰილარი კლინტონმა განაცხადეს, რომ საჭიროა, გაიმართოს ქარიშხალ „კატრინას" შედეგების დაძლევის საქმეში თეთრი სახლის მოქმედების გამოძიება, როგორც ეს მოხდა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებთან დაკავშირებით.

სტიქიის შედეგად დაღუპულთა უმრავლესობა შავკანიანი ღარიბი ადამიანები არიან. მთელი ამერიკის მასშტაბით ზანგთა თემების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ფედერალური ხელისუფლება გაცილებით უფრო სწრაფად გაირჯებოდა, დახმარება თეთრკანიან მოსახლეობას რომ დასჭირვებოდა.

ასეთი განცხადებები უარყო შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა, რომელიც ასევე მოგზაურობს სტიქიის შედეგად დაზარალებულ რაიონებში: „არავინ, განსაკუთრებით კი – პრეზიდენტი, არ მიატოვებდა ადამიანს გაჭირვებაში მხოლოდ და მხოლოდ რასობრივი მოსაზრებებიდან გამომდინარე".

ახალი ორლეანის ათასობით მცხოვრებს დართეს ქალაქში დაბრუნების ნება, რათა ენახათ, თუ რა ბედი ეწიათ მათ სახლებს და ქონებას. მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლები დაჟინებით მოითხოვენ, რომ ქალაქი აუცილებლად უნდა დაიცალოს და აღნიშნავენ, რომ კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში ახალი ორლეანი დახურული იქნება.

საინჟინრო ჯარები, რომლებსაც დაევალათ სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია, აცხადებენ, რომ დატბორილი ქუჩებიდან წყლის ამოტუმბვას, სავარაუდოდ, ორთვენახევარი მაინც დასჭირდება.

ახალი ორლეანის მერმა რეი ნეიგინმა „ენ-ბი-სი" ტელეკომპანიის ეთერით გამოსვლისას აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა, შეიძლება ათი ათასსაც მიაღწიოს.






# ირანს ბირთვული ბომბის შექმნამდე რამდენიმე წელი აშორებს

**ირანს დასჭირდება კიდევ რამდენიმე წელი ბირთვული იარაღის შესაქმნელად, ხაზგასმულია ლონდონის გავლენიანი ანალიტიკური ცენტრის მიერ მომზადებულ მოხსენებაში.**

სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის ექსპერტების შეფასებით, ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა ის, რომ ირანი ძალზე აქტიურად მუშაობს ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური იარაღის შექმნის სფეროში, აგრეთვე, მოქმედების შორეული რადიუსის მქონე რაკეტების შემუშავების საქმეში.

მკვლევართა აზრით, არის იმის წანამძღვრები, რომ წარმოიქმნას დიპლომატიური დაპირისპირება ირანსა და ევროკავშირს და შეერთებულ შტატებს შორის.

მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ ირანზე პოლიტიკური ზემოქმედების საშუალებები შეუზღუდავი არ არის.

სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის ექსპერტთა მიერ მომზადებულ მოხსენებას ეწოდება „ირანის სტრატეგიული შეიარაღების პროგრამა – საერთო შეფასება". მასში შეინიშნება ჯერ კიდევ 1950-იანი წლების დამლევს, შაჰის რეჟიმის დროს ირანის ბირთვული პროგრამის განვითარების პოლიტიკური წანამძღვრები.

შეიარაღების სფეროს ექსპერტებს ყველაზე მეტად აღელვებთ ის, თუ რამდენად წაიწია წინ ირანმა ურანის წარმოებისა და გამდიდრების საქმეში. ირანი აღნიშნავს, რომ ურანის წარმოება აუცილებელია იმ ბირთვული რეაქტორების სათბობით უზრუნველყოფისთვის, რომლებიც ელექტროენერგიით ამარაგებენ ქვეყანას. მაგრამ იგივე ტექნოლოგია ბირთვული ბომბის შესაქმნელად გამოსადეგი რადიაქტიული მასალების წარმოების შესაძლებლობასაც იძლევა.

მოხსენების ავტორთა თქმით, ირანმა აღიარა, რომ თითქმის 20 წლის განმავლობაში ახორციელებდა ურანთან დაკავშირებულ საიდუმლო ექსპერიმენტებს. სწორედ ამიტომ მოითხოვენ ევროკავშირი და შეერთებული შტატები, რომ ირანმა ნებაყოფლობით თქვას უარი ურანის გამდიდრების ტექნოლოგიაზე.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, ირანი აცხადებდა, რომ მზად იყო დათანხმებოდა გარკვეულ დროებით შეზღუდვებს ბირთვული პროგრამების შემუშავების სფეროში, და ამას აკეთებდა პოლიტიკური მოტივების გამო.

მაგრამ მოხსენების ავტორები პესიმისტურად აფასებენ ირანის მიერ ამ პოზიციის შენარჩუნების შესაძლებლობას. ირანის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ურანის გადამუშავების განახლების შესახებ, შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ეს საკითხი გადაეცეს განსახილველად გაეროს უშიშროების საბჭოს, ეს კი, თავის მხრივ, შეიძლება დასრულდეს თეირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღებით.



# იაპონიის სამხრეთ ნაწილს თავს დაატყდა ტაიფუნი „ნაბი"

**ქვეყნის ხელისუფლებამ სახლების დატოვება უბრძანა ასი ათასზე მეტ კაცს.**

კოკისპირულმა წვიმებმა და ძლიერმა ქარმა გამოიწვიეს დიდი წყალდიდობები, მეწყერები, რამაც, მოშალა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა.

სტიქიის შემოტევის შედეგად უგზო-უკვლოდ დაიკარგა სულ ცოტა 16 კაცი, 23 კი – დაშავდა.

[illegible]

ბი. ქარის სიჩქარე საათში 144 კილომეტრს აღწევდა.

მართალია, ეს გაცილებით ნაკლებია ქარიშხალ „კატრინის" ძალასთან შედარებით, მაგრამ ტაიფუნი „ნაბი" უკვე მეთოთხმეტეა მიმდინარე წელს და მისი მოქმედება შეიძლება გავრცელდეს უფრო დიდ ტერიტორიებზე.

სპეციალისტთა აზრით, ეს ნიშნავს [illegible]

გამო დანიშნულების ადგილისკენ ვერ გაფრინდა 20 ათასამდე მგზავრი.

„ნაბის" წინ უძღოდა ტაიფუნი „ტალიმი", რომელიც გასულ კვირას დაატყდა თავს ტაივანს და ჩინეთს, სადაც სტიქიის შემოტევის შედეგად დაიღუპა 84 კაცი, მილიონამდე ადამიანი კი იძულებული გახდა [illegible]





## შპს „საქართველოს რკინიგზა"
## მის ბალანსზე რიცხული სპილენძის და ალუმინის ჯართის რეალიზაციის მიზნით აცხადებს აუქციონს

**ინფორმაცია სარეალიზაციო ქონების შესახებ:**

**საკონტაქტო ქსელის სპილენძის გამტარი მფ-100 8.642 ტ; სპილენძის გამტარი (სხვადასხვა) კვეთი 2.5-დან 4-მდე. 0.15 ტ; ალუმინის გამტარი ა-185 0.6 ტ. საწყისი სარეალიზაციო ფასი შეადგენს 40885 (ორმოცი ათას რვაას ოთხმოცდახუთი) ლარს (დღგ-ს გარეშე). ბე-ს თანხა შეადგენს 10000 (ათი ათასი) ლარს. ბიჯი – 500 (ხუთასი) ლარი.**

აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ყველა რეზიდენტ ან არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია;

– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას „მონაწილეზე".

– შპს „საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე (ბანკი რესპუბლიკა ცენტრ. ფილიალი ა/ა № 3407003205 ბანკის კოდი № 220101757 საიდენტიფიკაციო კოდი № 202886010) „ბეს" და „მონაწილის ბილეთის" ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები.

– პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.

– ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით.

– იურიდიული პირი დამატებით წარმოადგენს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმებულ ასლს.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს მონაწილე იღებს „მონაწილის ბილეთს", რის შემდეგაც იგი ღებულობს მონაწილის სტატუსს.

პირმა, რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა რამდენიმე ქონების ცალკეული სახეობის ვაჭრობაში, უნდა გადაიხადოს „ბე" თითოეულ ქონებაზე, შეიძინოს „მონაწილის ბილეთი" თითოეულ სარეალიზაციო ქონებაზე და წარმოადგინოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია თითოეულ სარეალიზაციო ქონებაზე ცალ-ცალკე აღნიშნულის შემდეგ მას მიეცემა ცალკეული სარეალიზაციო ქონების აუქციონის მონაწილის სტატუსი.

მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 100 (ასი) ლარს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სარეალიზაციო ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის შემოთავაზება.

თანხის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: **ბანკი რესპუბლიკა ცენტრ. ფილიალი ა/ა № 3407003205 ბანკის კოდი № 220101757 საიდენტიფიკაციო კოდი № 202886010**

აუქციონი მოეწყობა **2005 წლის 11 ოქტომბერს 12 საათზე** შპს „საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობაში.

აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადები მიიღება აუქციონის ჩატარებამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

განაცხადები მიიღება ყოველდღე (შაბათ კვირის გარდა) **12 საათიდან 17 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15, „შპს „საქართველოს რკინიგზა" მე-4 სართული, ტ. 56-53-18.**

აუქციონის შედეგები მტკიცდება აუქციონის ჩატარებიდან 10 დღის განმავლობაში. აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში ქონების გამოსასყიდი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „მყიდველს" „ბე" არ დაუბრუნდება და არ მიეცემა მესაკუთრის უფლება.

გამარჯვებულს „ბე"-ს სახით გადახდილი თანხა ჩაეთვლება ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის დროისათვის არსებული კურსით.

აუქციონის შედეგებზე ხელმოწერის უარის მთქმელ პირს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე" არ დაუბრუნდება.

„მონაწილეს" „ბეს" დაუკავებლად უფლება აქვს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში განაცხადოს წერილობითი უარი აუქციონში მონაწილეობაზე.

ჯართის გატანასთან და აწონვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მყიდველი.

საკუთრების უფლების სანოტარო დამოწმების და აუცილებელი საბუთების გაფორმების ხარჯებს იხდის მყიდველი.

საბოლოო ანგარიშსწორება მყიდველსა და შპს „საქართველოს რკინიგზას" შორის განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული პროდუქციის შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ **შპს „საქართველოს რკინიგზაში", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15, მე-IV სართულზე ტელ: 56-53-18, 56-53-19, 56-33-48.**

ეს ჩვენი თბილისია

# 4. სოღდებილი-ისანი

**მტკვრის მარცხენა მხარეს, ახლანდელ მეტეხის პლატოზე, ადრე შუა საუკუნეების თბილისის გარეუბანი სოღდებილი მდებარეობდა. ჯერ კიდევ VIII საუკუნეში იგი ქალაქის ფარგლებში არ შემოდიოდა.**

**ამ ერთ ფიორა ტერიტორიას, რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა სახელი (სოღდებილი-ისანი-მეტეხი-ავლაბარი), გმირული და ტრაგიკული ისტორია აქვს.**

სოღდებილს წყაროებში პირველად X საუკუნის არაბი ისტორიკოსი ალ-ტაბარი იხსენიებს. მისი თქმით, IX საუკუნეში „სოღდებილი მედინაა“, ე.ი. ციხესიმაგრეა.

ადგილის სახელის გაჩენას უცხოურენოვანი საისტორიო წყაროები სპარსეთის მეფე ხოსრო ანუშირვანს (531-572 წ.წ.) უკავშირებენ, რომელსაც აქ სოღდის მოდგმის ხალხი დაუსახლებია. არაბი მეცნიერი და მწერალი, გეოგრაფი იაკუთი (1179-1229 წ.წ.) გვამცნობს: „სოღდებილი... მდინარე ქურის აღმოსავლეთ ნაპირზე, თბილისის პირდაპირ. ააშენა იგი ქასრა ანუშირვან სამართლიანმა... და დაასახლა იქ ხალხი სოღდელთაგან, სპარსთა მოდგმის ხალხთაგან“.

არსებობს საპირისპირო მოსაზრება, რომ „სოღდებილი“ „საგოდებლის“ დამახინჯებული ფორმაა.

იოანე საბანის ძე გვიამბობს, რომ ქრისტიანობისთვის წამებული, 786 წლის 6 იანვარს სიკვდილით დასჯილი აბოს გვამი „გამოიღეს... გარეშე ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსა საგოდებელ ეწოდების, რამეთუ არს საფლავები მის ქალაქისათა“.

შემდეგ მწერალი უფრო აკონკრეტებს: ჯალათები აბოს თავის მოკვეთას არ დასჯერდნენ, გვამი დაწვეს „ადგილსა მას, რომელ არს აღმოსავლეთით ციხესა მის ქალაქისასა, რომელსა ჰრქვიან სადილეგო პირსა ზედა კლდისას, რომელ არს კბოდე“ და ნარჩენები წყალში გადაყარეს. გადმოცემის თანახმად, თბილისის მცხოვრებლებმა მტკვრისგან გამორიყული აბო თბილელის ნეშტი შეაგროვეს და დაფლეს სოღდებილში გასასვლელ ხიდთან არსებულ პატარა გამოქვაბულში. ვახუშტი წერს: „ხოლო ხიდის ყურის სამხრით არს საფლავი წმინდისა აბოსი, რომელ იწამა სპარსთაგან ტფილისს“.



ისანი. XIX საუკუნის შუა ხანების ფოტო.

XX საუკუნის 20-იან წლებამდე აბოს სამლოცველოსთან – ნიშთან ჯვარი იყო აღმართული (აბოს სამლოცველო კავკასიის მთავარმართებელმა გენერალმა პასკევიჩმა მოაწყო). სამლოცველო ოვალური, ნახევრად წრიული ფორმისა იყო, წინა მხრიდან ქართული აგურით ამოშენებული. ამ ნიშში 1848 წელს სენატორმა საფონოვმა ხატი დაასვენა. ნიში 1951 წელს, მეტეხის ახალი ხიდის მშენებლობისას დაინგრა. XX საუკუნის 90-იან წლებში ამ ადგილას მცირე არქეოლოგიური გათხრები დაიწყო, რომელმაც სამლოცველოს ნაშთები გამოავლინა. იქ ახლა პატარა ეკლესიაა აგებული.

ქართულ საისტორიო წყაროებში სოღდებილი-საგოდებელი ორჯერ გვხვდება სხვადასხვა, შეცვლილი ფორმით. პირველად, როცა საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესმა ყურთლუ-არსლანმა 1184 წელს „ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა სოღდებილისასა“ (ანუ, ახალი სახელმწიფო ორგანოს, რაღაც პარლამენტის მსგავსის დაარსება); მეორედ – XIII საუკუნის მიწურულს, როცა ტაბახმელიდან მომავალმა მეფე ვახტანგ III-ემ „განვლო ხიდი და სახიუდაბელი და განვიდა მახათას“ (ჟამთააღმწერელი).

853 წელს არაბთა ხალიფა მუთავაქილმა „ზღვის ვეშაპად“ წოდებული სარდალი ბუღა თურქი ამიერკავკასიაში თავისი ძალაუფლების აღსადგენად გამოგზავნა. თბილისის ამირა საჰაკმა სოღდებილი გაამაგრა და შიგ გარნიზონი ჩააყენა. იქ მას ციხესიმაგრე და ოჯახის საცხოვრებელი ჰქონდა აგებული.

ბუღამ ლაშქარი ორად გაჰყო და 5 აგვისტოს იერიში დაიწყო. სამხრეთიდან (ახლანდელი ორთაჭალჰესის მხრიდან) შეტევას სარდალი ზირაქი ხელმძღვანელობდა, ჩრდილოეთიდან (გვიანდელი რაბათის, ახლანდელი დადიანის, პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩების მხრიდან) – აბულ აბასი. ბუღას ბრძანებით სოღდებილს ცეცხლი წაუკიდეს. კუპრისგან გაჩენილი ხანძარი განუწყვეტლივ ბობოქრობდა დღითაც და ღამითაც. ამირა საჰაკი შეიპყრეს და თავი მოჰკვეთეს. არაბი ისტორიკოსის ალ-ტაბარის ცნობით, მარტო თბილისში 50 ათასი კაცი დაიღუპა. ქალაქი თითქმის მთლიანად დაიწვა.

სოღდებილში არაბებმა მალე ძლიერი, ძნელად ასაღები ციხესიმაგრე „ისან-ჰისარი“ ააგეს (ისანი არაბულად ციხესიმაგრეს ნიშნავს). შემდგომში ეს სახელი ციხის მიმდებარე ტერიტორიასაც დაერქვა და ადგილის საკუთარ სახელად იქცა.

ამრიგად, „სოღდებილი“ „ისანმა“ შეცვალა.

XI საუკუნიდან ისანი თბილისის ორგანულ ნაწილად იქცა. ამ პერიოდში ისნის პოლიტიკური მნიშვნელობა ქალაქისა და საამიროს ცხოვრებაში განსაკუთრებით გაიზარდა. იგი დღევანდელ მეტეხის პლატოსა და მის გარეთ მდებარე ტერიტორიას მოიცავდა, იქ მუსლიმანური არისტოკრატია მკვიდრობდა. ეს იყო ამირას ყველაზე სანდო და უკეთ დაცული ადგილი, მისი მთავარი დასაყრდენი.

ისნის გარეშე თბილისი საბოლოოდ აღებულად არ ითვლებოდა. ამის მაგალითად საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის უიღბლობა კმარა.

ბაგრატმა 1037 წელს თბილისის აღება სცადა და ისანი, სადაც ამირას სახლეული და მისი მომხრეები იმყოფებოდნენ, ალყაში მოაქცია. შეწყდა სურსათის მიწოდება და სასტიკი შიმშილობა დაიწყო. ისნელები ისე დაიმშნენ, რომ ვირის ხორცის ჭამაც კი დაიწყეს, ისიც იმ დროისთვის უჩვეულოდ ძვირად – კილოგრამი ხუთას დრამად იყიდებოდა. მაგრამ მეფემ ისნის აღება მაინც ვერ შეძლო.

1045 წ. ბაგრატს ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა. თბილისელი ბერების დეპუტაციამ ქალაქის ჩაბარების წინადადებით მიმართა. მეფეს დიღმის ველზე ქალაქის მოსახლეობა შეეგება და თბილისში დიდი ზარ-ზეიმით შეიყვანა: „იყო ხმა ბუკთა და დუმბულთა ორკერძვე საშინელი, რომლისა ხმითა იძვროდა ქუეყანა. და იყო სიხარული ორკერძვე განსაკუთრებული... მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი და საამიროსა დარბაზსა“. ბაგრატმა იქ თავისი მოხელეები გაამწესა. მაგრამ მეფეს კვლავ წინააღმდეგობა გაუწია ისანმა, რომლის აღებაც შეუძლებელი გახდა: „ხოლო ისნელთა ჩააგდეს ხიდი და არა მისცეს ისანი. დაუდგნეს ფალაკვანი და ბრძოდეს ისნსა, და ესროდეს ისარსა“. 1046 წელს, რაკიღა ისანი ვერ აიღო, ბაგრატი იძულებული გახდა, თბილისისთვის თავი დაენებებინა.

თბილისის ერთიანი საქართველოს დედაქალაქად გადაქცევის დროიდან ისანი ქართველ მეფეთა რეზიდენცია გახდა. 1184 წელს თამარ მეფეს მამის გიორგი III-ის გარდაცვალების ამბავი აუწყეს „ქალაქსა შინა ტფილისსა, საჯდომსა მათსა ციხესა ისანს“.

1122 წლის შემდეგ ისანი მეფეთა საჯდომ ციხედ და საცხოვრებლად ითვლებოდა. ციხეს მრავალი გოდოლი ჰქონდა. გიორგი III-ის დროს იქ, აწინდელი მეტეხის ადგილას, უკვე არსებობდა საქართველოს მეფეთა სასახლე, თამარის დროს კი იხსენიება სამეფო კარის ეკლესიაც, რომელიც ხვარაზმელთა შემოსევის დროს დაიწვა. ციხის გარეთ მდებარე ტერიტორიას „ველი ისნისა“ ეწოდებოდა.

1226 წლის დამდეგს, როცა მონღოლთაგან დევნილი ხორეზმშაჰი ჯალალედინი თბილისს მოადგა, მეფე რუსუდანი და სამეფო კარი დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ, თბილისის დაცვა კი რაზმს დაავალეს, რომელსაც დემნა და ბოცო ბოცოსძენი მეთაურობდნენ. შინაგამცემთა წყალობით დემნა ღალატით მოკლეს და ხვარაზმელებმა 9 მარტს თბილისი აიღეს. ბოცო ისნის ციხეში ერთხანს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს, მაგრამ მეფის ბრძანებით ეს ციხეც დანებდა. ხვარაზმელებმა საშინლად ააოხრეს და გაძარცვეს ქალაქი, დააქციეს ეკლესიები და სასახლეები, გაჟუჟეს 100 ათასამდე კაცი.

XIII საუკუნეში ისანში, დანგრეულის ნაცვლად, მეტეხთა ღვთისმშობლის სახელზე ახალი ეკლესია ააგეს, რის გამოც ამ ადგილს ახალი საკუთარი სახელი გაუჩნდა – „მეტეხი“, და ისნის უბანი, ისევე, როგორც ისნის ციხე, გვიან შუა საუკუნეებში მეტეხის სახელით იხსენიება, ხოლო ისნის ველმა ავლაბრის სახელი დაიმკვიდრა. მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა...

**ალეკო ასლანიშვილი**

ინფორმაცია

## ჩვენთან მოგვაწესრიგეთ სხვას რომ ვეხმარებით?

**რელიგიური საკითხების დარეგულირების საქმეში უკრაინა საქართველოში არსებულ მდგომარეობასა და ქართულ გამოცდილებას ეცნობა.**

**ამ მიზნით თბილისში იმყოფება უკრაინის პრეზიდენტის სამეცნიერო მრჩეველი რელიგიურ საკითხებში ალექსანდრე საგანი, რომელიც გუშინ საქართველოს სახალხო დამცველს სოზარ სუბარს დახურულ კარს მიღმა შეხვდა.**

**ყველაზე მწვავე პრობლება, რომელიც ამჟამად უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე დგას, ავტოკეფალიის მოპოვებაა. თუმცა ამ მხრივ ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება ის გარემოება, რომ თავად უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია სამ ნაწილად არის გაყოფილი.**

**როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ორი მართლმადიდებლური ეკლესია უკვე გაერთიანების გზაზე დგას, თუმცა რჩება მესამე, რომელიც რუსეთის საპატრიარქოს ექვემდებარება.**

**საქართველოს სახალხო დამცველს სოზარ სუბარს მიაჩნია, რომ უკრაინის ორი მართლმადიდებლური ეკლესიის გაერთიანების შემდეგ, დღის წესრიგში დადგება მართლმადიდებლური ეკლესიების ავტოკეფალიის ცნობის საკითხი და ამ მხრივ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ძალიან სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება.**

## კვლავ მოდის კონტრაბანდული სიგარეტი

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შიდა ქართლის პოლიციის თანამშრომლებმა „ჟიგულის“ მარკის ორი ავტომანქანა დააკავეს, რომლითაც დიდი რაოდენობით კონტრაბანდული სიგარეტი გადაჰქონდათ.**

**თითოეულ ავტომანქანაში 7000 კოლოფი კონტრაბანდული თამბაქოს ნაწარმი აღმოჩნდა და ამ ტვირთის გადატანა ოსური მხარის კონტროლირებადი ზნაურის რაიონიდან თბილისის მიმართულებით ხდებოდა.**

**დაკავებულები არიან ტვირთის მეპატრონეები, სავარაუდოდ, თითოეულ მათგანს 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ტვირთი კი გორის ტერმინალშია გადატანილი.**

## გორში ჟურნალისტი სასტიკად სცემეს

**„ახალი ვერსიის“ კორესპონდენტს საბა წიწიკაშვილს სამი დაუდგენელი პირი გუშინწინ გვიან ღამით, გორში რკინიგზის სადგურის დასახლების ტერიტორიაზე თავს დაესხა.**

**როგორც წიწიკაშვილი აცხადებს, იგი სასტიკად სცემეს. მისთვის თავდამსხმელებს არაფერი მოუთხოვიათ. ჟურნალისტის ვერსიით, თავდასხმა ყაჩაღობის მიზნით არ მომხდარა. დაზარალებულის ვარაუდით, თავდასხმა უკავშირდება მის საქმიანობას, რადგან, მისი თქმით, ბოლო ხანებში ადგილობრივი ხელისუფლების მისამართით გაზეთში არაერთი კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა.**

**ღამითვე შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში მივიდა მხარის გუბერნატორი მიხეილ ქარელი. მან განაცხადა, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს ამ ფაქტის გამოძიება და დამნაშავეები უნდა დაისაჯონ.**

**მიხეილ ქარელმა სამართალდამცველებიც გააკრიტიკა და განაცხადა, რომ გარდა კონტრაბანდული ტვირთების გადაადგილებისა, უკიდურესადაა გართულებული კრიმინოგენური ვითარება და პოლიცია მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არაფერს აკეთებს.**

## ყაზბეგის საბაჟოზე ოქროს ნაკეთობები ამოიღეს

**როგორც ინტერპრესნიუსს შს სამინისტროში განუცხადეს, საბაჟოსა და კონტრდაზვერვის ყაზბეგის განყოფილების თანამშრომლებმა ერთობლივად განხორციელებული ღონისძიების შედეგად დააკავეს რუსეთის მიმართულებით მოძრავი ავტომანქანა „მერსედესი“. ავტომანქანას 43 წლის თამაზ თვაური მართავდა. ამავე მანქანით კიდევ 4 ადამიანი მგზავრობდა. სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებული ავტომანქანიდან სამი ცალი პაკეტი ამოიღეს, რომელიც 2 კილოგრამს იწონიდა.**

**პაკეტებიდან ამოიღეს 14 ოქროს ბეჭედი, 14 ოქროს საყურე, 1 ცალი 50-გრამიანი ყელსაბამი, 17 ცალი ოქროსფერი, 16 ცალი ბრინჯაოსფერი და 11 ცალი ვერცხლისფერი მედალი, ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტის ახმად კადიროვის გამოსახულებით.**

**წინასწარი მონაცემებით, ჩამოთვლილი ნივთები დამზადებულია სომხეთში. მძღოლის განმარტებით, აღნიშნული ნივთები მას უნდა ჩაეტანა ვლადიკავკაზში, სადაც მისთვის უცნობი პირები დაუკავშირდებოდნენ და ნივთებს გამოართმევდნენ. პირველადი საგამოძიებო მოქმედებების შემდეგ, მძღოლი უშიშროების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში გადაიყვანეს.**

**ინტერპრესნიუსი**

გარდაბნის რაიონული სასამართლოს ა.წ. 5 ივლისის განჩინებით შპს „მონოს“ მიმართ დაიწყო სალიკვიდაციო პროცესი.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე. გარდაბნის რაიონი, სოფელი კუმისი.

**ტელეფონი: 99-54-42 ან 893-65-62-69 (გია შამანიდი).**

სს „კრედიტინფო საქართველო“ აცნობებს მის აქციონერებს, რომ ამა წლის 27 სექტემბერს შედგება აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება. მისამართი: თბილისი, ჯანაშიას 16.

**სს „კრედიტინფო საქართველოს“ დირექცია.**

ვეტერანთა ბედი საქართველოში

# სოციალისტური მოდელი ამერიკულ კაპიტალიზმში

**საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დახმარებით საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტმა ციფრული ვიდეო-სელექტორული კავშირი განახორციელა აშშ-ის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტთან.**

ეს იყო გამოცდილების გაზიარება, მომავალის გეგმების დასახვა და საუბარი დახმარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ტელეხიდს საქართველოს მხრიდან ესწრებოდნენ დეპარტამენტის საგარეო საქმეთა განყოფილების კოორდინატორი თეიმურაზ ჩაჩავა, იურიდიული საბჭოს თავმჯდომარე რატი ემგვერაძე, ჯანმრთელობისა და სოციალური საბჭოს თავმჯდომარე დავით ტაბატაძე, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე ნუგზარ ცაგარეიშვილი, ამავე დეპარტამენტის თავმჯდომარის



მოადგილე გიორგი ბარამიძე და სხვ.

ამასთან დაკავშირებით ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში გიორგი ბარამიძემ პრესკონფერენცია გამართა.

– ფაქტობრივად, ეს ტელეხიდი არ ისახავდა მიზნად ე.წ. ამერიკული მოდელის პირდაპირ გადმოღებას, – თქვა მან, – ეს იყო პირველი ტელეხიდი და ჩვენ შევეცადეთ გაგვეცნო ერთმანეთი. რა თქმა უნდა, აქვე იყო საუბარი ბევრ პრობლემურ საკითხზეც. ჩვენი კოლეგები იმდენად დაინტერესდნენ ქართველ ვეტერანთა საქმეებით, რომ დაგეგმილი ნახევარი საათის ნაცვლად, საუბარი მთელი ორი საათი გაგრძელდა. არადა, ამ ტელეხიდს ამერიკის მხარე აფინანსებდა. გაირკვა, რომ ჩვენს ქვეყანაში ვეტერანთა საქმეები ისეა დაყენებული, ლამის მთლიანად ემთხვევა ამერიკის მოდელს, ოღონდ ეგ არის, რომ ჩვენთან საქმე მხოლოდ დასმულია, აშშ-ში კი ის პრაქტიკულად მთელი გულისყურით ხორციელდება. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს სისტემა, რომელიც მათთან არის დანერგილი, მხოლოდ ამ ბოლო 10-15 წლის წინათ გაჩნდა და იგი, რაც უნდა გასაკვირი იყოს, ყოფილ სსრკ-ში არსებული სოციალისტური სისტემის მსგავსია. ცოტა უცნაურია, მაგრამ ფაქტია, – კაპიტალიზმში, და ისიც ერთ-ერთ წამყვან კაპიტალისტურ ქვეყანაში, სოციალურ მოდელს იყენებენ. რას იზამ, კარგი ყველგან კარგია! სახელმწიფო ვეტერანებს აძლევს ფულს მათი რეაბილიტაციისთვის, მათი პენსიებისთვის, მათი დაზღვევისთვის, სამედიცინო მომსახურებისთვის და ა.შ. ეს ძალიან საინტერესოა! თანაც, ვეტერანთა საქმეების სამინისტრო (დეპარტამენტი), თავდაცვის სამინისტროს შემდეგ, თავისი დაფინანსებითა და მოცულობით აშშ-ში არის მეორე სამინისტრო. ამაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ვეტერანთა საქმეებზე აშშ-ში 76 მილიარდი დოლარი იხარჯება წელიწადში. ვეტერანებში კი იგულისხმებიან ადამიანები, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ ქვეყნის მიერ წარმოებულ ომებში, აგრეთვე, მათი ოჯახის წევრები. ამიტომაცაა, რომ ამერიკაში ჯარში სამსახური აბსოლუტურად ნებაყოფლობითია და იგი უტოლდება, უბრალოდ, სამსახურს, ოღონდ ეგ არის, რომ ჯარში წასულმა ადამიანმა იცის, რომ მისი ოჯახი ნებისმიერ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება სამუდამოდ. ხელფასები და კომპენსაციები კი იმდენად მაღალია, რომ იგი მას და მის ოჯახს, თუ შეიძლება ასე ითქვას, უზრუნველად აცხოვრებს...

მათ, რა თქმა უნდა, დაგვისვეს რამდენიმე კითხვა, – ერთ-ერთი იყო ის, თუ რამდენად ადეკვატურია ჩვენში საკანონმდებლო ბაზა, რამდენად ფიქრობდა სახელმწიფო ამ საკითხებზე. როდესაც გავაგებინეთ, რომ ამ საქმეში ძალიან „მოვიკოჭლებთ“, ისინი დაგვპირდნენ: ამ საკითხს ორი ქვეყნის სამთავრობო დონეზე დავაყენებთ და მხარს დაგიჭერთო.

მხარდაჭერა იმაში გამოიხატება, რომ თავიანთი ქვეყნის ზემდგომ ორგანოებთან დასვამდნენ საკითხს საქართველოსთვის ინვესტიციების გამოყოფის შესახებ. პირდაპირ ამდაგვარი ინვესტიციებისთვის მათ თანხები არ გააჩნიათ, მხოლოდ აკონტროლებენ გამოყოფილი თანხების მიზანმიმართულ ხარჯვას. და თუ ეს საქმე ისე მოგვარდა, როგორც ისინი გვთავაზობენ, მაშინ საქართველო მიიღებს ხელშესახებ ინვესტიციებს, ჰოსპიტლების, დასასვენებელი სახლების მშენებლობისთვის. ეს კი, კარგი მენეჯმენტის პირობებში, დიდებული საქმეა...

საუბარი შეეხო აგრეთვე ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას. რამდენადაც საქართველო აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში, მხარდაჭერა და დახმარება აშშ-ს მხრიდან გარანტირებული გვაქვს. ამჟამად მსოფლიოს ცხელ წერტილებში მყოფი ქართველი ჯარისკაცებიც ხომ ხვალინდელი ვეტერანები არიან!

**– თქვენ რა წინადადებები შესთავაზეთ, რითი მოაწონეთ თავი?**

– მართალი გითხრათ, ბევრი ვერაფრით, გარდა იმისა, რომ ჩვენ გვაქვს გაანალიზებული და ჩამოყალიბებული კანონპროექტი, რომელიც უკვე წარდგენილია მთავრობაში, ვნახოთ, რა იქნება! მთავარია, ვეტერანებისადმი მიდგომა შეიცვალოს საქართველოში. მარტო იმაზე ფიქრიც კი უხერხულია, რომ საქართველოში ხუთი კანონმდებლობა არეგულირებს ვეტერანთა საქმეებს!.. ყველას თავისი ძალა და მიზანი აქვს, მაგრამ... იქმნება ქაოსი და ამ ქაოსში, ვინ იცის, რამდენი თანხა იფანტება. ჩვენ კი ვამბობთ, – მოდით ერთად მოვუყაროთ თავი ამ თანხებს, სახელმწიფოს ხელში და ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი იქნება ეს თუ სამინისტრო, მხოლოდ გააკონტროლებს... ეს ხელს შეუწყობს ვეტერანთა პირობების გაუმჯობესებას, მათ კეთილდღეობას, არადა, ჩვენთვის ცნობილია, რომ ვეტერანები ადგილებზე ახლაც ვერ იღებენ მისაღებს, მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე ჩაერიცხათ თვითმმართველობებს. არის ასეთი კანონიც, როდესაც თვითმმართველობებს უფლება აქვთ „გამოუყენებელი“ თანხა სხვა „მიმართულებით“ გაუშვან... დავუშვათ, დასუფთავებაზე, კომუნალურ და სხვა „საჭირო“ საქმეებზე. და ეს იმ ფულით, რომელიც ვეტერანებს დააკლეს, ან გაუყინეს!

**– ვინ არიან ეს ვეტერანები, – ომის, შრომის თუ კიდევ სხვა?**

– დღეს ჩვენ მხოლოდ ომის ვეტერანებზე ვსაუბრობთ – ყველა ომსა და ყველა ცხელ წერტილში – მოქმედ ვეტერანებზე და სამამულო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებზე! ჩვენი, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი ერთადერთი სახელმწიფო სტრუქტურაა მთელს ქვეყანაში, თორემ, არასამთავრობო ორგანიზაციები 250-მდეა...

**ზაურ ფიფია**

ნაშუადღევის ჩანაწერები

# გადაქელილი, მერიის ხუშტურებს შეწირული...

**ეს ქუჩა ქუჩას აღარ ჰგავს, აქ რომ ამბავი ტრიალებს, მტრისას. იქნებ გადაჭარბებული გგონიათ?.. ნახეთ, ბატონო, ვისაც გაინტერესებთ, დედაქალაქის შუაგულშია ეს ქუჩა – რუსთაველის გამზირის პარალელურია, ერთ დროს საქართველოში კომკავშირული მოძრაობის ლიდერის ბორის ძნელაძის სახელს ატარებდა, დღეს კი დიდი მამულიშვილის რეზო თაბუკაშვილის სახელობისაა...**



მყუდრო ქუჩა იყო, ისეთი, მთაწმინდა-სოლოლაკის უბნებში რომ გვხვდება, მაგრამ დედაქალაქის ყოფილი მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის „გენიალური“ გადაწყვეტილებით, კვირაობით რუსთაველის გამზირი რომ ჩაიკეტა, იქედან „გადმოსროლილი“ ნაირ-ნაირი ტრანსპორტით გაივსო თაბუკაშვილის ქუჩა. არადა, ვიწროა იგი, ძველთაძველი, ამორტიზებული, შეიძლება ითქვას, ტროტუარი არცა აქვს, ქუჩის პირზე დგას საუკუნეგამოვლილი ავარიული სახლები, რომლებიც კვირაობით მოძალებული ტრანსპორტის გადარბენასა და გრიალ-გრიალს ვეღარ უძლებდნენ!..

მაგრამ, თურმე, ეს „ნიშნობა“ იყო, მთავარი წინ ელოდა თაბუკაშვილის ქუჩასა და იქ მცხოვრებთ: ჭიაბერაშვილი ხომ ახალმა „მოაზროვნემ“ – გიგი უგულავამ შეცვალა, ცენტრალურ ქუჩებში რა უნდა მიკროავტობუსებსო, ბრძანა მან და რაც რუსთაველზე მიკროავტობუსი მიმოდიოდა, თაბუკაშვილის ქუჩაზე მისცა „მწვანე შუქი“ (ვითომ თაბუკაშვილის ქუჩა ქალაქის ცენტრი არ იყოს!). ეს იყო და, კვირა დღის გრიალ-გრიალი, ყოველდღიურმა უსაშველომ შეცვალა – შეიძლება ითქვას, რომ თაბუკაშვილის ქუჩა ფეხით მოსიარულეთათვის აღარ არსებობს – ვიწრო ტროტუარზე ამორბიან მიკროავტობუსები, მსუბუქი და სატვირთო მანქანები, მოძრაობა ორმხრივია და გასაქანი არსად არის. ამ ქუჩაზე ამდენი მიკროავტობუსის მოძრაობა თითქოს არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ, როგორც გავიგეთ, მძღოლებს, სანაპიროთი წასვლას თაბუკაშვილით ურჩევნიათ (მოკლეზეც გადავლენ და ერთ-ორ მგზავრსაც აიყვანენ). ვინ არეგულირებს ან ვინ აკონტროლებს მათ მარშრუტს, კაცმა არ იცის.

ვიწამლებით, პატივცემულო ქალაქის მერო, ვიხუთებით, ამას ჰიტლერელები არ აკეთებდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში, პურის საყიდლად ვერ გამოვსულვართ ქუჩაში ტრანსპორტის შიშით!..

– ხომ ცხოვრობ, ძმაო, ამ ქუჩაზე, ხომ ხარ ჟურნალისტი, ადექი და დაწერე, რა დღეშიც ვართო, – მეუბნება მეზობელი.

– დავწერე, ჩემო იმანო, ერთხელ დავწერე და დავბეჭდე კიდეც, მაგრამ ჩვენი ნაწერი და თხოვნა-მუდარა, უკაცრაული პასუხია, სულ ფეხებზე ჰკიდია ქალაქის მერიას!..

– მაშინ მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, ავდგებით და ქუჩას გადავკეტავთ!.. ბიჭო, ცალმხრივი მაინც გახადონ მოძრაობა!.. – არ ცხრება მეზობელი.

– კი, ბატონო, გადავკეტოთ ქუჩა, მაგრამ, გამოვა რამე? – ადამიანის უფლებებს ცოტა ალმაცერად უყურებს ეს ხელისუფლება!

**ვილენ მარდალეიშვილი**



რ. თაბუკაშვილის ქუჩა დღეს. თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

◎ ფინანსური პოლიცია

# ქარავანი აღარ ივლის

## გადასახადი კი ორჯერ მეტი იყო

**„პრიმა“ ბათუმში არამარტო სიგარეტია, არამედ სამორინეც, რომელსაც მუშაობის ლიცენზია ორ მაგიდაზე ჰქონდა აღებული. თუმცა კი, სინამდვილეში, როგორც ფინანსური პოლიციის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა დაადგინეს, თამაში აქ რეალურად ოთხ მაგიდაზე მიდიოდა.** ამის შედეგად კი, „პრიმას“ „პრიმები“ სახელმწიფო ბიუჯეტს ყოველთვიურად 14 ათას ლარ გადასახადს აკლებდნენ, ვინაიდან სამორინეს თითოეულ „მოთამაშე“ მაგიდაზე ოფიციალურად ფიქსირებულია 7 ათასი ლარი. სამორინეს დირექტორი სულიკო წულუკიძეა. ყველა სიკეთესთან ერთად, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა სამორინეს სეიფიდან საფანტის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს, რომელიც, სავარაუდოდ, რეგისტრირებული არ არის.

ფინანსურ პოლიციაში არ გამორიცხავენ საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას.

## მათ ბუღალტერია „ზეპირად“ იციან

**საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის სამი ფაქტი გამოავლინეს ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა. სამართალდამრღვევები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების „ევროფასადის“, „ევრაზიისა“ და აჭარაში რეგისტრირებული „იმედი XXI“-ის ხელმძღვანელები არიან.** როგორც გაირკვა, ამ ფირმებში ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნები, რაც კანონითაა გათვალისწინებული, საერთოდ არ ჰქონდათ, არადა საგადასახადო დეპარტამენტს სახელმწიფო ბიუჯეტთან მათი ანგარიშსწორების საკითხი სწორედ მათ საფუძველზე უნდა მოეხდინა. სამივე ფაქტთან დაკავშირებით ფინანსურ პოლიციაში დაწყებულია გამოძიება.

## საფრთხე ვერ შეაფასეს

**მარტო ორ დღეში ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა თერთმეტი პიროვნება დააკავეს უაქციზო სიგარეტის საქართველოს ტერიტორიაზე გადაზიდვისას და მათ 55789 ლარის ღირებულების დაახლოებით 37 ათასი კოლოფი სიგარეტი ჩამოართვეს.**

პაატა ვაშაკიძეს „ზილის“ მარკის ავტომანქანით ცხინვალიდან გორის მიმართულებით 35325 ლარის ღირებულების 23 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდა. ასევე ცხინვალიდან მოჰქონდა ალიკ ბერძენიშვილს 7 ათასი ლარის 5 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი „ვაზ-2107“-ის მარკის ავტომანქანით. გარდა ამისა, ზვიად ბაბუციძეც ცდილობდა ცხინვალიდან ათასი კოლოფი სიგარეტის შემოტანას.

აღნიშნულთა გარდა, პოლიციელებმა კიდევ შვიდი პიროვნება დააკავეს, რომლებსაც სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა ოდენობით უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდათ. ყველა კანონდამრღვევს უკანონო ტვირთი ჩამოართვეს და მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმეები აღძრეს.



შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები უაქციზო სიგარეტის გადაადგილებას, ცხადია, სხვა მიმართულებებითაც ებრძვიან. – თბილისისკენ მოძრავ მატარებელში, სოფელ ნიქოზთან, მათ 6,5 ათასი ლარის 4,3 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი აღმოაჩინეს, თუმცა პატრონის ვინაობის გარკვევა ადგილზე ვერ მოხერხდა. მას აუცილებლად მოკვლევა დაადგენს.

## ქარავნის ბოლო რეისი

**როგორც ჩანს, უაქციზო სიგარეტის შემომტანებს კანონდარღვევისთვის პასუხისმგებლობის გამკაცრების სიმძიმე ჯერჯერობით სათანადოდ შეფასებული არა აქვთ.** სხვა შემთხვევაში რით შეიძლება ავხსნათ ის გარემოება, რომ ცხინვალი-ნიქოზის შემოვლით გზაზე საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა... ცხენების ქარავანი (!) დააკავეს, რომლითაც კონტრაბანდული სიგარეტი გადმოჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ ამ ქარავნის არსებობის შესახებ, რომელიც „რეისებს“ ლამის ყოველდღიურად ასრულებდა, პოლიციელთათვის ცნობილი იყო, თუმცა მისი დაკავება გარკვეული ხნის მანძილზე ვერ მოხერხდა. საქმე ის გახლავთ, რომ ქარავნის მეპატრონეებმა სამოქმედო არეალის გეოგრაფია ძალიან კარგად იციან, ბილიკებს ყოველდღე, უფრო სწორად კი ღამე ცვლიდნენ, ამიტომაც მათი დაკავება პრობლემად იქცა. კონტრაბანდისტთა ქარავნის დასაკავებლად პოლიციელებს ორკვირიანი ჩასაფრება დასჭირდათ.

## მედიკამენტები... მუთაქებიდან

**წინასწარი გამოძიება ლია მაჩაიკაშვილისა და დალი მაისურაძის მიმართ ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ბრალდებით დაიწყეს.** ეს ქალბატონები ფარმაცევტულ და სამედიცინო პროდუქციას უნებართვოდ ჰყიდდნენ. აღსანიშნავია, რომ ყვარელში ამავე საქმიანობას ასევე უნებართვოდ თამარ ბერიაშვილიც ეწეოდა. ყველანი მედიკამენტებით როგორც ჯიხურებში, ასევე საკუთარ სახლებშიც ვაჭრობდნენ. პოლიცია მედიკამენტებით მომარაგების წყაროს დადგენას აპირებს.

## შემოსავალი ხუთჯერ შეამცირა

**ინდმეწარმე „ჩიტო ქაცარიძემ“ 1400 ტონა ნაგლინი 152 ათას ლარად გაყიდა, თუმცა საგადასახადო დოკუმენტში კი შემცირებული თანხა – 32 ათასი ლარი – შეიტანა, რითაც, ფაქტობრივად, შემოსავალი დამალა და ბიუჯეტი აზარალა. ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველოში დაწყებულია საქმის გამოძიება.**

## უსინდისო მოლარე

**სს „სახალხო ბანკის“ ქუთაისის ფილიალის მოლარემ ქეთევან მანაგაძემ მოხუცების კუთვნილი ე.წ. „გაყინული პენსიები“ მიითვისა.** ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველოში, სადაც ქ. მანაგაძის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, წინასწარი გამოძიება დაიწყეს, ვარაუდობენ, რომ საქმის ვითარების გარკვევისას მითვისებული თანხა (დაახლოებით 700-800 ლარი) შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

ოთარ ტურაზელიძე

მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტი
აცხადებს მიღებას
ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში
2005-2006 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

1. მასმედიისა და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
- ჟურნალისტიკა (პრესა, რადიო, ტელევიზია, პროგრამის წამყვანი);
- საზოგადოებასთან ურთიერთობები;
- პოლიტოლოგია-კონფლიქტოლოგია;

2. ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
- სატელევიზიო რეჟისურა;
- ქართული ენა და ლიტერატურა;
- ინგლისური ენა და ლიტერატურა;
- გერმანული ენა და ლიტერატურა;
- ფრანგული ენა და ლიტერატურა;

3. სამართლის ფაკულტეტი
- სამართალი;

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
- ეკოლოგია

5. ტურიზმისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა ფაკულტეტი
- ტურიზმი
- ეკონომიკური ურთიერთობები

6. საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინტერდისციპლინარულ სპეციალობათა ფაკულტეტი
- ჟურნალისტიკა და სარეჟისორო ხელოვნება;
- მასმედია და საზოგადოებასთან ურთიერთობები;
- საერთაშორისო ჟურნალისტიკა და პოლიტოლოგია-კონფლიქტოლოგია;
- მასმედია და სამართალმცოდნეობა;
- ქართული ენა, ლიტერატურა და ჟურნალისტიკა;
- უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენა, ლიტერატურა და ჟურნალისტიკა;
- მასმედია და ტურიზმი;
- მასმედია და ეკოლოგია;
- მასმედია და ეკონომიკური ურთიერთობები;
- ტურიზმი და საზოგადოებასთან ურთიერთობები;
- ტურიზმი და ეკონომიკური ურთიერთობები;
- ეკონომიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობები;
- სამართალი და ეკონომიკური ურთიერთობები;
- ეკოლოგია და ტურიზმი.

მისამართი: კოსტავას ქ. 14, IV სართული, ოთახი 19.
ტელ: 93-35-99, 36-64-96, 99-56-65, 22-37-36, 62-42-66, 899-22-62-62, 899-36-68-69.



აქ შეიძლებოდა თქვენი რეკლამა ყოფილიყო!
მობრძანდით დედაქალაქის ცენტრში, კოსტავას 14, I სართული. დაგვიკავშირდით, ტელეფონი-ფაქსი 932813; ტელ: 931563. ვმუშაობთ ყოველდღე (კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე.

მესტიის რაიკოოპერატივის მეპაიეთა საყურადღებოდ!
2005 წლის 30 სექტემბერს დღის 13 საათზე, გამგეობის სააქტო დარბაზში ტარდება რაიკოოპერატივის კრება
შემდეგი დღის წესრიგით
მესტიის რაიკოოპერატივის მართვისა და კონტროლის ორგანოს არჩევნები. (გამგეობის თავმჯდომარის გამგეობის წევრების და სარევიზიო კომისიის). მეპაიეთა დასწრება სავალდებულოა.

◎ შესარჩევი რაუნდი

# დღეს „საშემოდგომოებს“ ვაბარებთ

**გასულ შაბათამდე ქართველი გულშემატკივარი კალათბურთით ცხოვრობდა – მოგეხსენებათ, როგორი ძალა აქვს რეკლამასა და პროპაგანდას. რადგან ქართველებს ზომიერად არაფერი შეგვიძლია, ამ საკითხშიც გადავამლაშეთ, შედეგად კი, ადვილი შესაძლებელია, მაკედონიელებთან დღევანდელ შეხვედრაში თბილისის სპორტის სასახლე სანახევროდაც არ შეივსოს. არადა, წარმოიდგინეთ, ფინეთში რომ მოგვეგო – ერთი ცნობილი ტელეკომენტატორის საყვარელი გამოთქმისა არ იყოს, ანშლაგი გარანტირებული იყო.**



მშვენიერად გვესმის, რომ ჭეშმარიტ ქომაგს ვერაფერი შეაკავებს და, „ა“ ჯგუფში აღზევების მიზერული შანსის მიუხედავად, დარბაზში მაინც მივა. რადგან ელიტაში მოსახვედრად თეორიული შესაძლებლობა ჯერაც არსებობს, მოდით, ორიოდე სიტყვა დღევანდელ შეხვედრასაც შევაწიოთ.

მეტოქე რომ დაუძლეველ წინაღობას ნამდვილად არ წარმოადგენს, კარგად გამოჩნდა სკოპლეში შარშან გამართულ I წრის მატჩში, რომელიც „ჯვაროსანთა“ მაშინდელი თავკაცის დრაჟენ ბრაიკოვიჩის ტაქტიკური „იაღლიშებისა“ და თვით ჩვენი გუნდის ზოგიერთი მოთამაშის შეცდომების გამო დავთმეთ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ განვლილი დროის განმავლობაში სტუმრებს ნატურალიზებული ცენტრალური თავდამსხმელი ჯონსი დაელუპათ, მათი პრობლემები თვალშისაცემი გახდება, მაგრამ არის კომპონენტი, რომელიც ნებისმიერი მოწინააღმდეგისთვის ბალკანელთა მრისხანე იარაღად გადაიქცევა ხოლმე – ესაა პერიმეტრზე მეურვისაგან განთავისუფლება და ზუსტი სამქულიანებით მეტოქის კალათის დაბომბვა. ვინაიდან სწორედ შედეგიანი შორეული ტყორცნებით გამოგვიყვანეს წირვა ფინელებმაც, ვიმედოვნებთ, გორდონ ჰერბერტი თანაშემწეებთან ერთად კონტრარგუმენტსაც მიაგნებს და თავის შეგირდებს საკუთარ ღირსებებს წარმოაჩენინებს.

* * *



**დღესვე საკუთარი პრესტიჟის მოსაფრთხილებლად მოუწევს ზრუნვა გაიოზ დარსაძის გაწვრთნილ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებსაც, რომელსაც გაცილებით სერიოზული გამომცდელი ეყოლება დანიის გუნდის სახით.**

მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღის წინათ სკანდინაველებმა სტამბოლში ბოლო წუთზე გადაარჩინეს თამაში უშუალო კონკურენტთან, მათ „მუნდიალ-2006“-ზე მოხვედრის შანსი შეინარჩუნეს და, ბუნებრივია, თავის მოედანზე ყველაფერს იღონებენ გამარჯვების მოსაპოვებლად.

სიმბოლური დამთხვევა – უკრაინელებთან საშინაო მატჩი „ჯვაროსნებმაც“ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ იხსნეს. ასე რომ, საინტერესოა, მძიმე ბრძოლისა და მომქანცველი მგზავრობის შემდეგ რომელმა გუნდმა მოასწრო კონდიციების აღდგენა.

გია პლატონიშვილი

◎ ძიუდო

# ფარაონების სამშობლოში – დანაკლისის ასანაზღაურებლად

**გუშინ ძიუდოს დარბაზში მისულთ უჩვეულო სურათი დაგვხვდა – საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ... ფეხბურთში. მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური იდგა ტატამის პირას და შეძახილებით ამხნევებდა თანაგუნდელებს.**



– ბორჯომში ვარჯიშისას ნაოპერაციევი ფეხი ვიტკინე და ტატამზე ვერ შევდივარ ფეხბურთის სათამაშოდ, – მითხრა ზურაბმა. – ვფიქრობ, ტრავმა საგანგაშო არ უნდა იყოს, თუმცა ჩვენი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი მეუბნება, ჭიდაობა გამაყუჩებლებით მოგიწევსო. რაც უნდა მოხდეს, ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებ. ხომ გახსოვთ, ათენში როგორ მქონდა ფეხი დასიებული, მაგრამ მეტოქეებს არაფერი დავუთმე. კაიროში წინა წლების დანაკლისი უნდა ავინაზღაურო.

შეგახსენებთ, რომ ზურაბ ზვიადაური 2001 და 2003 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე ახლო იყო მიზანთან, მაგრამ ორჯერვე ფინალური ორთაბრძოლები დათმო ფრანგ ფრედერიკ დემონფოკოსთან და კორეელ ჰი თაე ჰუანგთან. ეგვიპტის დედაქალაქში ზურაბს ტრავმასთან და ძლიერ მეტოქეებთან ერთად გადასალახავ ზღუდედ ეყოლება, ასევე, სახელოვანი ბიძაშვილი ჯარჯი ზვიადაური, რომელიც კვლავ ილიას ილიადისის სახელით დაიცავს საბერძნეთის სპორტულ ღირსებას. მართალია, მან ათენში ოლიმპიური ჩემპიონობა 81 კილოში მოიპოვა, მაგრამ ამჯერად წონა აქვს მომატებული და 90 კილოში პაექრობა ამჯობინა. ღმერთმა ქნას, ფარაონების შთამომავლებმა ფინალში ბიძაშვილების ორთაბრძოლა იხილონ.

რაც შეეხება გუნდის დანარჩენ შემადგენლობას, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა იგი ასე დააკომპლექტა: ნესტორ ხერგიანი (60), დავით მარგოშვილი (66), დავით ქევხიშვილი (73), გრიგოლ შინჯიკაშვილი (81), გიორგი გუგავა (100), ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე წონა) და გიორგი ყიზილაშვილი (აბსოლუტური კატეგორია).

კაიროს ტატამზე 8 სექტემბრიდან გამარჯვებულები და პრიზიორები ყოველდღიურად ორ-ორ წონით კატეგორიაში გამოვლინდებიან. ასპარეზობის მეხუთე დღე გუნდურ პაექრობებს დაეთმობა. მედლებისთვის 8 ქვეყნის ნაკრები იბრძოლებს. ხაბარელს გუნდური პირველობისთვის სათადარიგოდ კიდევ სამი ძიუდოისტი მიჰყავს – გრიგოლ მამრიკიშვილი (81), ირაკლი ცირეკიძე (90) და ივერი ჯიქურაული (100). საგულისხმოა, რომ გუნდურ პირველობაში 60, 100 კილოგრამისა და აბსოლუტური წონითი კატეგორიის ფალავნები არ მონაწილეობენ.

როგორც შოთა ხაბარელმა გვითხრა, ნაკრების წევრებმა საფუძვლიანი მომზადება გაიარეს, თავს კარგად გრძნობენ და იმედიანი განწყობილებაც აქვთ. ჩვენი ძიუდოისტები დღეს დილაადრიან თანმხლებ პირებთან ერთად ჩარტერული რეისით გაფრინდნენ კაიროში. ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი და გენერალური მდივანი ანზორ მარტყოფლიშვილი კი უკვე ეგვიპტის დედაქალაქში არიან და დღეს ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის კონგრესს დაესწრებიან, სადაც ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიონ. კანდიდატებად ორი გამოკვეთილი ფავორიტია – ფედერაციის ამჟამინდელი თავკაცი – სამხრეთკორეელი იონგ სუნგ პარკი და ევროპის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი რუმინელი მარიუს ვიზერი. ჩვენები რუმინელს უჭერენ მხარს.

ვაჟა დანელია

◎ ჭადრაკი ოთხშაბათობით

# დებიუტების თეორეტიკოსი

**რუსული საჭადრაკო სკოლის ფუძემდებელი, მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩების მონაწილე, ჟურნალ „ჭადრაკის“ (1894) და გაზეთ „ახალი დროის“ (1890-1908) რედაქტორი, ჭადრაკის თეორეტიკოსი და ლიტერატორი მიხეილ ჩიგორინი (1850, გატჩინა – 1908 ლუბლინი, პოლონეთი)**



**სწავლობდა გატჩინოს ობოლთა ინსტიტუტში (1859-68), სადაც 16 წლისამ დაიწყო საჭადრაკო მოღვაწეობა.** 1873 წლიდან პეტერბურგში გადავიდა საცხოვრებლად. წარმატებით ასპარეზობდა პეტერბურგის უძლიერეს მოჭადრაკეებთან, რომელთა შორის იყვნენ ი. შუმოვი და ე. შიფერსი. სათავეში ედგა ტელეგრაფით მოწყობილ მატჩ-ტურნირს (1883) პეტერბურგისა და ლონდონის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს პეტერბურგელებმა – 2:0.

ჩიგორინმა 1889 წელს მსოფლიო პირველობის მატჩი წააგო ვ. სტეინიცთან (ჰავანა) – 6,5:10,5 განმეორებითი ორთაბრძოლაც სტეინიცის გამარჯვებით დამთავრდა 12,5:10,5 (ჰავანა, 1889), თუმცა შემოქმედებითად ეს შეხვედრა ჩიგორინმა მეტოქესთან შედარებით უკეთ ითამაშა, მაგრამ მიუტევებელმა შეცდომებმა განაპირობეს მისი დამარცხება.

ჩიგორინის სახელთანაა დაკავშირებული ისეთი თეორიული დებიუტების განვითარება, როგორიცაა მეფისა და ლაზიერის გამბიტი, ევანსის გამბიტი, ფრანგული და ძველინდური დაცვა...

ჩიგორინის შემოქმედება დებიუტების სფეროში შესანიშნავი ნიმუშია მოჭადრაკეთა ოსტატობის ასამაღლებლად, – ამბობდა ე. ლასკერი.

თამაზ შენგელია

**გუნსბერგი – ჩიგორინი (ჰავანა, 1890 წ.)**



**ე:f3!!**

**იშვიათი სილამაზის კომბინაციის დასაწყისი**

**35. ... ე:f3! 36. ლ:f3 ლd2 37. მფg1 კf2 38. მფf1 მd4 39. კ:d4 ლ:c1 40. მფe2 ე:h1 41. კ:f2 ლ:b1 42. g5 ლf1 0:1**

**გუნსბერგი – ჩიგორინის მატჩი (1890) ორგანიზებული იყო ჰავანის საჭადრაკო კლუბის მიერ. რუსეთელ მოჭადრაკეს საშუალება ეძლეოდა, მატჩი ნებისმიერ მეტოქესთან ეთამაშა. მან არჩევანი კვლავ სტეინიცზე გააკეთა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის (1889) უარის გამო ჩიგორინი გუნსბერგს შეხვდა. ორთაბრძოლა ფრედ – 9:9 დასრულდა.**

◎ სპორტულ ორბიტაზე



## ნათლობა შედგა

**ორშაბათ საღამოს იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი, ფეხბურთის გუნდ „მილანის“ მფლობელი, მონაწილეობდა „მილანის“ მთავარი ბომბარდირის, უკრაინელი ლეგიონერის ანდრეი შევჩენკოს და ამერიკელი ფოტომოდელის კრისტენ პაზიკის ვაჟიშვილის ნათლობაში.**

თავად ბერლუსკონი არ შეიძლებოდა, ნათლია ყოფილიყო, რადგან გაყრილია თავის პირველ ცოლთან და ახლა მეორე ქორწინებაშია. კათოლიკური ეკლესიის კანონების მიხედვით კი, მეუღლესთან გაყრილ ადამიანებს ეკრძალებათ ნათლიობა.

ცერემონია გაიმართა მილანის მახლობლად წმინდა ვინჩენცოს კათოლიკურ ეკლესიაში საკურორტო ქალაქ ჩერნობიოში კომოს ტბის სანაპიროზე.

ანდრეიმ და მისმა სამოქალაქო მეუღლემ გადაწყვიტეს, რომ პირველ შვილს კათოლიკური ტრადიციებით მონათლავდნენ, ხოლო მეორე შვილის ნათლობას მართლმადიდებელ ეკლესიაში აპირებენ.

## სექსუალურზე სექსუალური

**სწორედ რომ ასეთად მიიჩნია დიდ ბრიტანეთში პოპულარული საფეხბურთო საიტის მიერ მოწყობილ გამოკითხვაში მონაწილე სამი ათასამდე ფეხბურთის ბრიტანელმა გულშემატკივარმა ქალმა ფრანგი დავიდ ჟინოლა, როცა „პარი-სენ-ჟერმენის“, „ნიუკასლისა“ და „ტოტენჰემის“ მოთამაშე ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე სექსუალურად მიიჩნიეს.** აღსანიშნავია, რომ ინგლისელმა ქალებმა რომანტიული შესახედაობის 38 წლის ფრანგი ამჯობინეს ეროვნულ სექს-სიმბოლოს დევიდ ბექჰემს. სექსუალების ამ ახალ რეიტინგში ინგლისის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი მეორე ადგილზე აღმოჩნდა.



ამ სიაში ბრიტანელები მაინცდამაინც ბევრნი როდი არიან. მესამე ადგილიც ფრანგ ტიერი ანრის მიაკუთვნეს, მეოთხე კი – იტალიელ ტოტის, მეხუთე კვლავ ფრანგი ერიკ კანტონაა, და მხოლოდ ინგლისის ნაკრების ყოფილმა მეკარემ დევიდ ჯეიმსმა მეექვსე ადგილით შეძლო საფეხბურთო ალბიონის „მამაკაცური ღირსების“ დაცვა.

## კოკოს „ბედუკუღმართობა“

**დიახ, ბედმა ზურგი აქცია იტალიელ ფეხბურთელს ფრანჩესკო კოკოს. „ინტერის“ მარცხენა მცველი ახლანდელ სეზონს არენდით კლუბ „ლივორნოში“ გაატარებს. მაგრამ მხოლოდ ეს ფაქტი როდი ანაღვლებს ფეხბურთელს, რომელმაც ტრავმების გამო ბოლო ორ წელიწადში მხოლოდ ექვსი მატჩი ითამაშა. იგი უფრო იმან შეაწუხა, რომ ლივორნოში ცხოვრობს მისი ყოფილი საცოლე მანუელა არკური, თანაც ცხოვრობს ფეხბურთელის მეგობართან – ფარიკაობაში ოლიმპიურ ჩემპიონთან ალდო მონტანოსთან.**

მანუელა არკური იტალიაში ცნობილი მსახიობი და მოდელია. თავის დროზე მას რომანი ჰქონდა ფეხბურთელ ფრანჩესკო ტოტისთან, სამთო მოთხილამურე ალბერტო ტომბასთან, მოტომრბოლ სეტ ჟიბერნაუსთან.

არკურიმ და კოკომ ერთმანეთი მილანში წვეულებაზე გაიცნეს. შარშან ისინი ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ წყვილად ითვლებოდა. მაგრამ შემდეგ შეყვარებულები რატომღაც განშორდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, გრძნობები შემორჩათ. ალბათ სწორედ ამიტომ მიბეგვა ფეხბურთელმა მანუელას ახალი ბოიფრენდი – ბიზნესმენი ტომაზო ბუტი.



## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



გურამ გომართელი, მერაბ ელიოზიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი და ნარგიზა მგელაძე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში.

გადაღებულია 1964 წელს.

მოგვაწოდა გივი შეყილაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## ფელეტონი

# შიშს დიდი თვალები აქვს

**გაზხულის ერთ ხვატიან დღეს ბაზარში მიმავალმა ვაგზლის მოედანზე ამოვყავი თავი. მის მიმდებარე ტერიტორიაზე – დეზერტირების ბაზართან და სასტუმრო „კოლხეთთან“ უამრავი ხალხი ირეოდა.**

ქუჩაში ვაჭრობა აქ კარგა ხანია მოიშალა, მაგრამ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, და შიგადაშიგ კიდევ შეხვედებით ხელზე მოვაჭრეებს. მუშტარიც მათ ეტანება, ფიქრობს – პროდუქტი ან სხვა საქონელი იქნებ უფრო იაფად შევიძინოო.

მეც, ყოველ შემთხვევისთვის, იქაურობა შევათვალიერე. ზედ სასტუმრო „კოლხეთის“ შესასვლელთან ერთ ლოყებღაჟღაჟა, სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ხეიბარ კაცს გადავეყარე. ეტყობოდა, აფხაზეთის ომის მონაწილე იყო და სასტუმროში ცხოვრობდა.

– ნატურალური ღვინო თუ გინდათ, მიგასწავლით, – შემომთავაზა მან.

– არა, მადლობელი ვარ, ბაზარში პროდუქტების საყიდლად მივდივარ.

– ფრთხილად, შენი ჭირიმე, ბაზარი ქურდბაცაცებით და აფერისტებით არის გავსებული.

– აფერისტებით?

– ჰო, რა გიკვირს, შარშან, ვიდრე გარევაჭრობას მოშლიდნენ, აქ აფერისტების მთელი ლაშქარი მოქმედებდა. პატარა ჯიხური ჰქონდათ გახსნილი და გამვლელ-გამომვლელს უფასო ლატარეას სთავაზობდნენ. საათის პატარა ელემენტებს ურიგებდნენ, შემდეგ ამ ელემენტების ნომრის მიხედვით სპეციალურად შედგენილ ცხრილებში ვითომ მოგებებს ეძებდნენ.

– მერე იგებდნენ?

– როგორ არა. გილოცავთ! – უთხრეს ერთხელ შუა ხნის მამაკაცს, – თქვენ ტელევიზორი „სამსუნგი“ მოიგეთ.

მოგებულმა სიხარულისგან აღარ იცოდა რა ექნა.

– ტელევიზორი საიდან უნდა გამოვიტანო? – იკითხა მან.

– გრიბოედოვის № 15-ში ახალი მაღაზიის პრეზენტაციაზე უნდა მობრძანდეთ – მიუგო ორმოციოდე წლის ჩაჰალსტუხებულმა მამაკაცმა, რომელიც გარეგნობით ზედგამოჭრილი ვარლამ არავიძე იყო.

– დღეს რომ გამოვიტანო?

– გვაცალეთ, ბატონო, გვაცალეთ, მაღაზია ხვალ იხსნება. მანამდე კი უნდა დავაზუსტოთ, რა მსყიდველუნარიანობის ბრძანდებით.

– ეს რაღას ნიშნავს?

– ახლავე უნდა წარმოადგინოთ მოგებული ტელევიზორის ეკვივალენტური თანხა.

– რატომ, ბატონო, მე ხომ ის მოვიგე?

– კი, ტელევიზორს ხვალ უფასოდ მიიღებთ, მაგრამ ამჯერად თქვენი ჯიბის ცოცხალი თანხის რაოდენობა გვაინტერესებს.

ამასობაში „ვარლამის დაჯგუფების“ წევრმა მობილური „მოიგო“ და ანკესზე წამოგებულ მამაკაცზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის მიზნით 150 დოლარის კუპიურები გადასცა თავის ამფსონს.

როგორც შემდეგ გაირკვა, აფერისტების კლანჭებში ქუთაისელი კაცი აღმოჩნდა, რომელიც გარდაცვლილის ნათესავებისგან შემოსაწირის ასაკრეფად ჩამოსულიყო თბილისში. მან შეგროვილი 259 დოლარი „ვარლამს“ დასათვლელად გაუწოდა.

უკანასკნელმა თანხა თავის მეგობარს გადასცა – გასინჯე ერთი, ფალსიფიცირებული ხომ არ არისო. და ასე, ფული ხელიდან ხელში გადადიოდა... ასე რომ, მეგობარო, ფრთხილად იყავი.

– თუ შეგხვედრიათ, ახლა სად არიან ეგ აფერისტები?

– ახლა, ალბათ, არალეგალურად მოქმედებენ მეტროში, „მარშრუტკებში“, ბინებში, ციხეში და ვინ იცის, კიდევ სად, – მიპასუხა და დამემშვიდობა.

ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ სურსათ-სანოვაგით ხელდამშვენებულმა სამარშრუტო ტაქსს მივაშურე და წინა სკამზე მოვკალათდი.

– ბიძია, უხერხულად ზიხართ, დაბრძანდით ჩემს ადგილზე, – შემომთავაზა გვერდით მჯდომმა ახალგაზრდამ, თან გულისჯიბეში „წაიჯილავა“. უნებურად გადავხედე მგზავრებს, მათ უტყვ, არაფრისმთქმელ თვალებში რატომღაც ქურდების „ლაშქარი“ ამოვიცანი. გავიფიქრე, რომ ყველანი ამ არამზადასთან ერთად ჩემს წინააღმდეგ იყვნენ შეკრულნი. აი, თურმე სად მოიყარეს თავი „კოლხეთის“ შემოგარენის აფერისტებმა. ძალა მოვიკრიბე, ხელი მძლავრად ჩავავლე ქურდბაცაცას და ჩუმად ვუბრძანე!

– საიდანაც ამოიღე, იქ შენივე ხელით ჩადე!

– ძია ვასო, თქვენი ჭირიმე, ბიძაჩემის შემოსაწირს თქვენ როგორ გამოგართმევთ. დიდი მადლობელი ვარ, – მოიბოდიშა მან, – ფული ამოიღო, ჩემს ჯიბეში თავისი ადგილი მიუჩინა და სასწრაფოდ გაუჩინარდა.

მგზავრები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ არამზადას მეგობრებად შევიცანი, ერთბაშად ალაპარაკდნენ:

– ყველაფერი დავინახეთ, ოხ, ეგ გარეწარი ეგა. გვინდოდა აქვე მოგვეხრჩო, მაგრამ...

– მე კი ყველა თქვენგანის შემეშინდა, გავიფიქრე, რომ იმ არამზადას ძმაკაცები იყავით, – მოვიბოდიშე მე.

– ასეა, ჩემო ბატონო, შიშს დიდი თვალები აქვს...

**თამაზ ბეგიაშვილი**

## გვემრავლოს!

# უფრო ძეობაა



სამშობიარო სახლებიდან დილაადრიან გვიკავშირდებიან. თითოეული ცნობა იქ არსებულ, „სიმართლის წიგნის“ მონაცემებს ეყრდნობა და უტყუარია.

– ვემსახურებით თემქის, გლდანის და მუხიანის დასახლებებს, სოფელ გლდანს, გლდანი-ნაძალადევის რაიონს. მოდიან ჩუღურეთიდან და ქალაქის ცენტრიდანაც. ასე რომ, ჩვენთან მელოგინეთა მუდმივი სიმრავლეა. პირველი სექტემბრიდან 5-ის ჩათვლით, ჩვენთან 36 ქალმა იმშობიარა, დაიბადა 16 გოგო და 20 ვაჟი. პირველ სექტემბერს, ერთ დღეში 6 ბავშვი დაიბადა – 4 ვაჟი და 2 გოგო. უფრო ძეობაა, – გვაცნობა თბილისის № 5 სამშობიარო სახლის უფროსმა მედდამ იამზე ერისთავმა.

დაგვილოცნია ყველა პატარა, ვინც სექტემბრის პირველ კვირას თავისი პირველი შეხმიანებით ქვეყანას ახალი სიცოცხლის დაბადება ამცნო.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

## ცოტაც გავიცინოთ...

**დილაადრიან** მიხომ თავის ექიმს დაურეკა, ჩემს ცოლს ბრმა ნაწლავი სტკივაო.

– შეუძლებელია, – უპასუხა ექიმმა, – მაგას ხომ შარშან უკვე ამოვჭერით აპენდიციტი, შენ გინახავს ადამიანი მეორე ბრმა ნაწლავით?

– გიჟია ოხერი, – ჩაიბურდღუნა მიხომ, – ექიმო, ნუთუ არ გინახავს კაცი მეორე ცოლით?

* * *

**აბა**, წარმოიდგინეთ: 22 ფეხბურთელი, 2 მწვრთნელი, 10 სათადარიგო მოთამაშე, 1 მსაჯი, 2 გვერდითი მსაჯი, 6 ოპერატორი, სამიც ტელევიზიის მუშაკი, 50 სპორტული ჟურნალისტი, და საერთოდ, 60 ათასი მაყურებელი, მტრედმა კი მაინცდამაინც მე დამასკლინტა.

* * *

**რესტორანში:**

– ოფიციანტო, ეს ტაბაკა ძველია!

– თქვენი ბრალია!

– რატომ?

– იმიტომ, რომ მაგ ვარიის შეწვა ჯერ კიდევ წინა კვირას გირჩიეთ, თქვენ კი უარი თქვით.

* * *



– **ცოლს** ვშორდები, ის თითქმის მთელ დღეებს ჩემს მეტოქესთან ატარებს, ის უფრო აინტერესებს, ბევრ რამეს მიამბობს, კარგადაც მღერისო...

– მერე, მას კაცურად ვერ დაელაპარაკე?

– კი მაგრამ, როგორ?

– ცხვირ-პირი დაუნაყე!

– ვის, ტელევიზორს?

* * *

– **ჩემი** ცოლი აუტანელია, როცა ფხიზელია.

– ნუთუ მას სმა უყვარს?

– სამწუხაროდ, არა! თავის დღეში წვეთი არ დაულევია.

* * *

**ხულიგანს** ექვსი თვით ციხე მიუსაჯეს, ის მოსამართლეს სთხოვს:

– თუ შეიძლება, სასჯელს ზამთარში მოვიხდი.

– რატომ?

– ზამთარში დღეები ხომ მოკლეა!

* * *

– **რატომ** სვამ? შენ ხომ ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საზოგადოების წევრი ხარ?

– უკვე აღარა ვარ.

– რატომ?

– საწევრო გადასახადის ფული ვერ ვიშოვე.

* * *

**საკანში** ორი პატიმარი ზის:

– შენ როგორ მოხვდი? – კითხულობს ერთი.

– სურდოს გამო...

– რა შუაშია სურდო?

– მთავარი ეგაა. საქმეზე რომ ვიყავით, უცებ დამაცემინა, ყარაულს კი გაეღვიძა.

# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო** სამსახური – 022;

გენერალური პროკურატურა – 99-74-10;

შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;

საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;

ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;

იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;

ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;

სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;

შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;

კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;

თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;

საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;

თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;

შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;

ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.

კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

## ლარის კურსი

**7 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3182 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7950 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2540 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0637 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3895 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3875 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,6080 ლარი. |

## ამინდი დღეს

| 7 სექტემბერი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 26° | 16° |
| ბათუმი | 25° | 15° |
| სოხუმი | 23° | 14° |
| ქუთაისი | 26° | 15° |
| თელავი | 25° | 15° |

ერთად გადავარჩინოთ მომავალი!

პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“

თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში 17 სექტემბერს

გიუზეპე ვერდის

დონ კარლოსზე

პირველად ქართველი მსმენელის წინაშე იტალიური რეპერტუარის ბრწყინვალე ინტერპრეტატორი, მსოფლიოში აღიარებული ბანი ფერუჩიო ფურლანეტო

სპექტაკლში მონაწილეობენ: პაატა ბურჭულაძე

თეა დემურიშვილი

გია ონიანი

ბესო გაბიძაშვილი

ირმა ბერძენიშვილი

დირიჟორი: ზაზა აზმაიფარაშვილი;

რეჟისორი გურამ მელივა.

დასაწყისი: 19 სთ.



სპექტაკლის მთლიანი შემოსავალი გადაირიცხება მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ფონდში.

ერთად გადავარჩინოთ მომავალი!



მეუღლე ვიოლა გეწაძე, შვილი თამუნა, სიძე ალეკო ჯაფარიძე, დისწული ირინა ორჯონიკიძე, ცოლისდები ელზა, ჯული გეწაძეები, მძახალი ლია ჯაფარიძე, ქვისლი როლანდ ხუციშვილი, ცოლის დისწულები გიორგი, დავით ხუციშვილები, რძლები ნინო ჯავაშვილი, ეკა ქარდავა, დეიდაშვილი ელგუჯა დემეტრაძე, ბიძაშვილები ლიანა, მაყვალა, ნანი, ქაჯანა, ნინო, იგორ ჩხეიძეები, რძალი ნანა ჩხეიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯონდო შალვას ძე ალფაიძე

პანაშვიდი 8, 9 IX 17 სთ, დაკრძალვა 10 IX 15 სთ. მის: ჩიტაძის შესახ. № 3, გამოსვენება ვერის სასაფლაოს ეკლესიიდან.

შვილი დავით იაშვილი, შვილიშვილები დავით, ალექსანდრე, დავით, ეკა იაშვილები, და საშიკო ღარიბაშვილი, რძლები ნანა ტატიშვილი, კერსტინ იაშვილი, სოფო ლეკიშვილი, ანა შამათავა, ნათელა კიკნაძე, მძახალი ალეკო ტატიშვილი, ძმისწულები მახარე, ბათუ, ხათუნა ქლენტები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თადული ქლენტი-იაშვილი

პანაშვიდი 7 IX 16 სთ, გამოსვენება 8 IX 15 სთ. ვაკის სამების ეკლესიიდან.



მეუღლე სერგო, შვილები ნატო, თამარ ებანოიძეები, სიძე თემურ გრძელიძე, შვილიშვილები მერაბ, ნინო გრძელიძეები, და ნანა მუმლაძე. ძმისწულები გიორგი, აკაკი მუმლაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერი აკაკის ასული მუმლაძე-ებანოიძე

პანაშვიდი 8, 9 IX, 16 სთ. დაკრძალვა 10 IX, 14 სთ. თბილისი, გორკის ქ. № 7.

მეუღლე ნათელა კიკნაძე, შვილი გიორგი მეტრეველი, რძალი ნინო კობალაძე, შვილიშვილი ანა მეტრეველი, მძახლები კუკური და ვენერა კობალაძეები, თენგიზი, რეზო, ზურიკო კიკნაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ფრიდონ ბენადის ძე მეტრეველი

პანაშვიდი 7 IX, 16 სთ-ზე, დაკრძალვა 8 IX, 14 სთ-ზე, ქ. გურჯაანი, ზუგდიდის ქ. 34.



ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ინსტიტუტის სისხლის გადასხმის განყოფილების ყოფილი გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი

ნელი ვლადიმერის ასული უჩავა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ინსტიტუტის თანამშრომლის მანანა მურუსიძის დედა

ალექსანდრა (შურა) ტყეშელაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ფოტოობიექტივი იღიმება



სექტემბერი დადგა, ზოგან სწავლა დაიწყო...



ზოგანაც მალე დაიწყება.




აქ შეიძლებოდა თქვენი რეკლამა ყოფილიყო!

ყველაზე ხელსაყრელი და ეფექტიანი რეკლამა გაზეთში

მობრძანდით დედაქალაქის ცენტრში, კოსტავას 14, I სართული. დაგვიკავშირდით, ტელეფონი-ფაქსი 932813; ტელ: 931563. ვმუშაობთ ყოველდღე (კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რჭინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორის მოადგილე ალეკო ასლანიშვილი.
მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK